№ 15. წელიწადი პირველი. 1929წ. ფასი ყველგან 15 კაპ.

# დროშა

F-221
1929



მხურვალე სალამი პიონერთა საკავშირო შეკრებას!
ა/კ. პიონერები მიემგზავრებიან საკავშირო შეკრებაზე მოსკოვში.

# უცხოეთის ფოტო-ქრონიკა



ოცი წლის წინად ფრანგმა ბრალიომ ლამანშის სიმაღლე გადაიფრინა. მას შემდეგ ავიაციაში დიდი წინმსვლელობა მოხდა. ამ მხრივ გერმანულ ტეხნიკას დიდი გამარჯვება ხვდა. მფრინავმა გიგანტმა „Do X“-მა ახალი რეკორდი გააკეთა. ეს მფრინავი 12 მოტორიანი ჰიდროპლანია, დორნიეს ტიპისა. აქვს 6.300 ცხენის ძალა ბაქანზე იტევს ას მგზავრს. საათში გადის 240 კილომეტრს. სურათზე მფრინავი წყალზე დაცურავს.






როკფელერ    მორგან    ფორდ    მონდ

იმპერიალისტური დიქტატორები $^{5}/_{6}$ დედამიწის ნაწილის, რომელთაც შიშის ზარს სცემდა პირველი აგვისტო, საერთაშორისო წითელი დღე, გამართული მთელს ევროპაში იმპერიალისტურ ომის საპროტესტოდ.

იმპერიალისტურ მეტროპოლიის გაბატონებული ბურჟუაზია მარტო „საკუთარს“ ქვეყანას და ხალხს არ სჩაგრავს. მის ანგარებიან ბრჭყალებში ტყავდება გარეშე ქვეყნები და კოლონიები. ინგლისი თავის კაპიტალით სულს უხუთავს და თავის ბატონობის ქვეშ ამყოფებს ასჯერ დიდს ტერიტორიას და მცხოვრებთა რიცხვი დამონებული ჰყავს შვიდჯერ მეტი, ვიდრე თვითონ არის.

ძლევამოსილ იმპერიალისტურ ჯგუფებს ერთმანეთში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვთ გამართული სავაჭრო ბაზის და ფართე ასპარეზის მოსაპოვებლად კაპიტალის სამოქმედოდ.

ამ ჯგუფების ინტერესები ერთმანეთს ეჯახებიან ჩრდილო-ამერიკაში, ჩინეთ-იაპონიაში, კანადაში და თვით ევროპაში. საბჭოთა კავშირი მსოფლიო კაპიტალისთვის თვალში ეკალია, რადგან აქ მათს ვერაგულ ზრახვებს საფუძველი დანგრეული აქვს. მათს იმპერიალისტურ ბრძოლის ინტერესს გამარჯვებული საბჭოთა პროლეტარიატი ჩანასახშივე სპობს.



ბურჟუები ფუფუნებას ციხეშიაც არ იკლებენ. როგორც ვიცით, ნავთის მრეწველს, მილიონერს გარი სინკლერს, მიუსაჯეს სამი თვე ციხე ქრთამების გაცემის გამო. ციხეში არ მოიკლო ფუფუნება და თავის კამერა მოაწყო ყოველგვარ გასართობებით და რადიო გადამცემით.



ინდოეთში მებრძოლი პარტიები სასტიკ დევნას განიცდიან იმპერიალისტებისაგან და კოლონისტებისაგან. ამ რამდენიმე ხნის წინად დაპატიმრებულ იქნენ მრავალი დემონსტრანტები.

სურათზე—იმპერიალისტების მიერ მიღებული ზომების შედეგი დემონსტრანტების წინაალმდეგ. ასეთ „საგმირო საქმეებით“ უმასპინძლდებიან ევროპის ბურჟუაზიული „კულტურტრეგერები“ ინდოეთის მშრომელთ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 15. 1929 წ. 18 აგვისტო.

დროშა



პიონერთა მუსწრე.



ამზადებენ ექსპონატებს.



„ჩემი წვლილი 3-მე ინდუსტ-სათვის“.



წ.-კ. უცოდინართა ლიკვიდაცია

## პიონერების შეკრება

18 აგვისტოს მოსკოვში დაიწყო მოზარდ თაობის პიონერების შეკრება. ყველაზე მრავალრიცხოვანი და მსოფლიოში პირველი, ახალგაზრდათა მაგალითი.

მოსკოვში თავს მოიყრიან მუშა-მოსამსახურეების ბავშვები: აზიიდან, უზბეკისტანიდან, ყირგიზეთიდან, უკრაინიდან, საქართველოდან, სომხეთიდან და კავშირში ყველა შემავალ რესპუბლიკებიდან. თვითეული დელეგატი 15 წელზე უფროსი არ იქნება. დელეგატების რიცხვი 6.000 იქნება.

მოსკოვში შეხვდებიან საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და ამერიკის მუშათა ბავშვებს, რომელთა მშობლები განიცდიან კაპიტალისტურ უღლის ჩაგვრას.

საბჭოთა ხელისუფლების 12 წლის არსებობიდან, პირველად ხდება ასეთი გრანდიოზული შეხვედრა, პროლეტარულ ბავშვების, სწორედ იმ დროს, როცა ლონდონში კაპიტალისტები და მილიტარისტები აწყობენ ბავშვების შეკრებას. პიონერების კრებაზე უნდა გამოაშკარავდეს მიღწევა და ნაკლი, რაც გაკეთებულა ბავშვებისთვის ამ ხნის განმავლობაში.

დიდი ყურადღება ექნება მიქცეული საორგანიზაციო მუშაობას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ამჟამად ორ მილიონზე მეტი ბავში ირიცხება პიონერების რიგებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საშუალო და ღარიბ გლეხების ბავშებს, რომელთა მშობლები ქალაქის მუშასთან შედარებით კულტურით ჩამორჩენილები არიან და ბავშების მოძრაობას უხალისოდ ეპყრობიან.

ეს შეკრება წამოაყენებს საბჭოთა საზოგადოებრიობის წინაშე იმ უდიდეს საკითხებს, თუ როგორ უნდა მოუაროთ ბავშების ახალგაზრდა არმიებს, რომლებიც იზრდებიან მომავალ სოციალისტურ აღმშენებლობისათვის.

## მესამე თაობა

ამიერ კავკასიის და საქართველოს ცენტრში—თბილისში თავი მოიყარა რამოდენიმე ასეულმა პიონერმა.

საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის შორეულ კუთხეებიდან შეიკრიბნენ მესამე თაობის წარმომადგენლები, სოციალიზმის მომავალი მშენებლები, რათა ერთად, შეერთებული ძალღონით გადაეწყვიტათ ბავშვთა მოძრაობის უდიდესი საკითხები.

წითელი საყელურით, მოკლე შარვალ-ხალათით, ჯანმრთელნი და მამაცათ გამომყურე პიონერები დინჯად აუჩქარებლივ მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ამიერკავკასიაში ბავშვთა აღზრდა, სკოლების საქმე, რა მიღწევები და ნაკლი აქვს საბჭოთა ხელისუფლებას მომავალი თაობის მომზ დების დარგში.

საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს პიონერთა მოძრაობას, მომავალი თაობის აღზრდას. ჩვენი ხელისუფლება და პარტია განსაკუთრებულ მზრუნველობით ეკიდებიან, პიონერებს, რომლებმაც მომავალში რიგები უნდა შესცვალონ.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლიან თამამად სთქვას, რომ იგი განსაკუთრებით ზრუნავს მომავალი თაობის აღსაზრდელად, მის მოსამზადებლად შემდგომი მუშაობისათვის სოციალისტური მშენებლობისათვის.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩაეყარა მტკიცე, ურყევი საძირკველი ბავშვთა აღზრდა-სწავლების საქმეს, რასაც მოწმობენ უამრავი სკოლები, საბავშო ბაგა-ბაღები, სახლები, მოედნები, ბავშვთა კლუბები, სამკითხველოები და სხვა მრავალი დაწესებულებები.

ჩვენი მომავალი თაობა—პიონერები—კარგათ გრძნობენ, თუ რა უდიდესი მოვალეობა აწევთ მათ და მამაცად, გაბედულად და მტკიცე ნაბიჯით მიისწრაფიან სწავლისაკენ, იმ ცოდნის შესაძენად, რომელიც ესაჭიროება სოციალიზმის მშენებლებს, კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ მომუშავე რაზმელებს.

მთაში და ბარად, ქალაქად და სოფლად, მიყრუებულ, მივარდნილ კუთხეებში პიონერები შეუდრეკლად ებრძვიან ძველ-დახავსებულ, მავნე ზნე-ჩვეულებებს, დაუნდობლად ამსხვრევენ ძველ კერპებს, შეაქვთ მოსახლეობაში სინათლის სხივი და თავისი მაგალითით, ნორჩი ენტუზიაზმით ულვიძებენ ბრძოლის და წინსვლის სურვილს არა მარტო ახალგაზრდობას, არამედ მოზრდილებსაც.

ჩვენ სინამდვილეში ბევრია იმის მაგალითი, რომ სოფლად და ქალაქად პიონერები იყვნენ მრავალი საზოგადოებრივი სასარგებლო საქმის დამწყობნი და საძირკველის ჩამყრელნი.

მრავალია იმის მაგალითი, როდესაც პიონერებმა სოფლად მოზრდილ მოსახლეობას აღებინეს ხელი მავნე ზნე-ჩვეულებებზე.

პიონერთა შეკრებამ თბილისში, ამ უდიდესმა მოვლენამ ამიერ-კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში, ერთხელ კიდევ დაანახვა ყველას, რომ მომავალი თაობა შემოქმედებით მუშაობს სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად მუშურ-გლეხური მთავრობის დასახმარებლად.

შეკრებამ უჩვენა ყველას, რომ ბავშებში მტკიცედ არის ჩანერგილი კლასობრივი შეგნება, რომ ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნებათა ბავშები სცდილობენ და ეცდებიან განამტკიცონ ეროვნული მშვიდობიანობა და ძირიან-ფესვიანად ამოფხვრან ეროვნული შუღლის და კინკლაობის ყოველგვარი ნაშთები.

პიონერები წითელი ალამით ხელში მტკიცედ მ დიან იმ გზით, რომელიც დაუსახა მათ პროლეტარიატის ბელადმა ლენინმა.

პიონერები, აღჭურვილნი ცოდნით და ძველი, ბრძოლაში გამობრძმედილი თაობის გამოცდილებით, შეუპოვრად ამსხვრევენ ძველ ადათჩვეულებებს და ამტკიცებენ და ამაგრებენ ახალი ცხოვრების საფუძველს.



პიონერთა შეკრება სოფლად.



„შეკრებაზე“



პიონერები ქალაქ გარედ.



პიონერები სამკითხველოში·

# ერთსულოვნად და ერთდროულად

## საერთაშორისო წითელი დღე

### ე. წ—ძე.

საერთაშორისო წითელი დღე—პირველი აგვისტო—ბრწყინვალე ფურცლად ჩაიწერება მსოფლიო მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიაში, როგორც ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ინტერნაციონალური სოლიდარობის მძლავრი დემონსტრაციის დღე.

მუშათა მოძრაობის უკანასკნელ ათეულ წლებს არ ახსოვს საერთაშორისო პროლეტარიატის ასეთი ერთსულოვანი და ერთდროული გამოსვლა. ის გარემოება, რომ წითელი დღის ჩატარებას წინ უძღოდა ყველა რეაქციონური ძალების (მათ რიცხვში—საერთაშორისო მენშევიზმის) მობილიზაცია და გაათფთრებული იერიშები მუშათა რევოლიუციონურ ორგანიზაციებზე (მასიური დაპატიმრებანი პოლონეთში, სამხრეთ-სლავიაში, ბალტიის სახელმწიფოებში, რუმინეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, არაჩვეულებრივი ფაშისტური ტერორი საფრანგეთში) და აგრეთვე ის, რომ ეს დღე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ოფიციალურად აკრძალული იყო,—კიდევ უფრო აძლიერებს კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით ჩატარებული—კაპიტალიზმისა და იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ მებრძოლი რევოლიუციონური ძალების საერთაშორისო დათვალიერების მნიშვნელობას.

პირველ აგვისტოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმ მხრივ, რომ საერთაშორისო მუშათა კლასმა ამ დღეს მოახდინა დემონსტრაცია თავის მზადყოფნისა—ყოველივე ძალებით ებრძოლოს ახალი ხოცვა-ჟლეტის დაწყებას და დაიცვას მსოფლიოს მშრომელთა სამშობლო—საბჭოთა კავშირი, არა მარტო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სტრატეგიის თვალსაზრისით („ნათლობა“ ბარიკადებზე ბრძოლაში), არამედ იმ მხრივაც, რომ ამ დღეს მუშათა კლასმა დაინახა თვისი ნამდვილი მტერ-მოყვარე; საერთაშორისო წითელ დღეს ბარიკადების ორ მოპირდაპირე მხარეზე იდგა ორი სამყარო - კაპიტალიზმი თავისი მოკავშირე სოციალ-დემოკრატიით და რევოლიუციონური მუშათა კლასი კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობით. ვერაფერი ვერ ამოდალავს მუშათა კლასის შეგნებიდან იმ ფაქტს, რომ იმ დროს, როცა მსოფლიო მუშათა კლასი ერთსულოვნად და ერთდროულად გამოვიდა ომის საფრთხის წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატია ბურჟუაზიასთან ერთად ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ჩაეშალა ეს დღე და ამით დაამტკიცა, რომ მას არ სურს ბრძოლა იმპერიალისტურ ომებთან, რომ პირიქით იგი ბურჟუაზიის მოკავშირეა ახალი ომების მომზადებაში.



პირველ აგვისტოს, საერთაშორისო წითელ დღეს, პარიზის ქუჩებში მზად იდგნენ პოლიციელები, რომ შეპყრობილი დემონსტრანტები ციხეში გადაეყვანათ.

მაგრამ საერთაშორისო მუშათა კლასის გამოსვლა იმპერიალისტური ომების საფრთხის წინააღმდეგ, კაპიტალიზმისა და მისი ერთგული მსახურების წინააღმდეგ, პირველ აგვისტოს მნიშვნელობის მხოლოდ ერთი ნაწილია. ამ დღის უდიდესი მნიშვნელობა მდგომარეობს აგრეთვე მსოფლიო რევოლიუციონური მასების დარაზმვაში მშრომელთა სოციალისტურ სამშობლოს—საბჭოთა კავშირის გარშემო. ის ფაქტი, რომ 1-ლ აგვისტოს მილიონიანი მუშათა მასები გამოვიდნენ თავისი ქვეყნის კაპიტალისტური მთავრობების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის მხარეზე,—მაჩვენებელია იმ უდიდესი რევოლიუციონური როლის, რომელსაც საბჭოთა ქვეყანა თამაშობს. ასეთი მრავალრიცხოვანი მოკავშირეების ყოლა ჩვენი მტრების—იმპერიალისტების და მისი მოკავშირეების—სოციალ-რეფორმისტების ზურგში,—თავდებია იმის, რომ ჩვენს მტრებს ძვირათ დაუჯდება ყოველი აგრესიული ნაბიჯი პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ, რომ ამ შემთხვევაში ის ორ ცეცხლს შუა მოექცევა. მას საქმე ექნება საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების მშვიდობიანი შრომის ერთგულ დარაჯთან—სახელოვან წითელ არმიასთან და თავიანთი ქვეყნის პროლეტარების ძლევამოსილ აჯანყებასთან საბჭოთა კავშირის დასაცავად.

მომავალი დიდი კლასობრივი ბრძოლების გენერალური რეპეტიციის დღე—პირველი აგვისტო, საერთაშორისო მუშათა კლასმა სახელოვანად ჩაატარა. მან დაამტკიცა, რომ ვერავითარი პოლიციურ-ჟანდარმული რეპრესიები ვერ მოსდრეკს რევოლიუციონურ ნებისყოფას.

პირველი მაისის გმირული ბრძოლებიდან ნეიკელნში და ვედინგში, საერთაშორისო წითელი დღის შემდეგ კაპიტალისტური ქვეყნების რევოლიუციონური მუშათა კლასი გაბედულათ და თავისი ძლიერების სრული შეგნებით მტკიცედ მიდის მსოფლიო ოქტომბრისაკენ.

კომუნიზმის აჩრდილი ხორცს ისხამს და რეალობად ხდება.



ურიცკის მოედანზე, ლენინგრადში, საერთაშორისო წითელი დღე დასრულდა მით, რომ გადაღებულ იქმნა: „ომი ომს“! მთელი მოედანი უამრავ ხალხით სავსე იყო. სურათზე ნაჩვენებია ტრიბუნაზე „კაპიტალიზმის“ ურჩხული.

# ბავშთა კომუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოჯორის ის აგარაკი, სადაც ატარებენ ზაფხულს თბილისის საბავშვო ბაღები, მოზრდილი შენობაა.

წრეულს საბავშო ბაღებს წამოუყვანიათ საზაფხულოდ მხოლოდ 75 ბავშვი, თუმც აგარაკი დაიტევდა გაცილებით მეტ ბავშებს.

— მეტის წამოყვანა ვერ შევძელით—მეუბნება ერთ-ერთი საბავშო ბაღის გამგე—არა მქონდა ამის შესაძლებლობა. ხარჯები ბევრი გვაქვს. მარტო თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება შენობის ქირის სახით გვართმევს ზაფხულის განმავლობაში 1188 მანეთს. ისიც უნდა გითხრათ, რომ სანამ ფული არ შევიტანეთ, ჯანმრთელობის განყოფილებამ არ მოგვცა აგარაკში შესვლის უფლება. ამისათვის წრეულს ძალიან გვიან მოგვიხდა თბილისიდან წამოსვლა.

ეს ფაქტი, დამახასიათებელია იმის, თუ როგორ ეპყრობა ზოგიერთი დაწესებულება მომავალი თაობის აღზრდის საქმეს.

აგარაკში თავმოყრილნი არიან მუშა-მოსამსახურეების ბავშვები, უფრო კი სჭარბობს მუშების ბავშები.

აქ, ბუნების წიაღში, ბავშები ჯანსაღდებიან, ეცნობიან ბუნებას, აკვირდებიან ბუნების სხვადასხვა მოვლენებს და იძენენ შემდგომისათვის გამოსადეგ და სასარგებლო ცოდნას.

ბავშები მთელს დღეს ატარებენ მინდორში.

დილის საუზმის შემდეგ მხიარული სიმღერით, აღმზრდელის ხელმძღვანელობით, ბავშები გადიან ველად. იმართება სხვადასხვა სახის თამაში, ცეკვა, სიმღერა. აქვე ბავშები სწავლობენ ველს, აკვირდებიან სხვადასხვა მწერების, ფრინველების ცხოვრებას, აგროვებენ ბალახებს, ყვავილებს, ამზადებენ გერშარიებს. ყველაფერს ბავშები აკეთებენ თავისი ხელით.

აგარაკის ერთ-ერთ მოზრდილ დერეფანში ბავშებს გამოფენილი აქვთ ზაფხულის ნამუშევარი. დიდის ხალისით უჩვენებენ და უხსნიან ბავშები სტუმარს სხვადასხვა ბალახის, ან ყვავილის თვისებებს, იციან მათი სახელწოდება, აქვე კოლოფებში ჰყავთ მრავალი მწერები, პეპლები.

ამ პატარა მუზეუმში ბავშები გვიჩვენებენ თავის ნახატებსაც. ფერადი ფანქრებით მათ დაუხატავთ ველი, გლეხები ერთითებით, ფარცხებით, თივის ბულულებით.

ამ სურათებში გამოსჭვივის ბავშების ნიჭი, მათი დაკვირვების უნარი.

— კაცებს ჩვენც ვშველოდით ბალახის თიბვაში, მერე ვაწოდებდით თივას ურემზე—მეუბნება პატარა დათიკო.

— კარგი იყო, როდესაც ველზე ბლომად იყო თივის ბულულები, შეიძლებოდა შიგ კოტრიალი—ურთავს ლაპარაკში თავის შენიშვნას თვალ-ჭრელა პატარა გოგონა.

———

— აქ ბავშებს ჩვენ არაფერს ვასწავლით, გაკვეთილებს არ ვაძლევთ—მეუბნება ბაღის ხელმძღვანელი—ჩვენ მხოლოდ ვაკმაყოფილებთ მათ ცნობის მოყვარეობას, ვაძლევთ პასუხს შეკითხვებზე და ვმართავთ საუბრებს იმ საგნების ირგვლივ, რომლებიც აინტერესებთ თვით ბავშებს.

აგერ, ხედავთ, იმ ბავშს მოაქვს ჩიტის ბუდე, ალბათ უპოვია ჩირგვში. ეხლა გაიმართება საუბარი იმაზე, თუ როგორ აკეთებენ ჩიტები ბუდეს და რა დანიშნულებას ასრულებს იგი.



ბავშები საუზმეზე.



ბავშების მეგობარი „ბროლია“



ბავშები ისვენებენ.



ბავშები სათამაშო მოედანზე.

ბავშები ყველაფერს აკეთებენ თვითონ, თავისი პაწია ხელებით.

სათამაშოებს თვითონ უვლიან ყურს, ბავშებს თავისი ხელით შეუდგენიათ სათამაშოების სია და გაუკრავთ კედელზე. მორიგე ვალდებულია სათამაშოებს თვალყური ადევნოს და არ დაიკარგოს.

მორიგეები ბავშვები საწოლ ოთახშიაც.

ამორჩეული ჰყავთ სანიტარული კომისია, რომელსაც ევალება სისუფთავის დაცვა.

მორიგეები საუზმის და სადილის დამთავრების შემდეგ, ალაგებენ სუფრას, რეცხავენ და სწმენდენ ჭურჭელს.

სისუფთავის და ჰიგიენის დაცვას მიქცეული აქვს მთავარი ყურადღება. ყოველ ბავშს აქვს საპონი, კბილის საწმენდი ჩოთქი, ფხვნილი, პირსახოცი. საპონის, ჩოთქის და ფხვნილის შესანახი თაროები თვითონვე გაუკეთებიათ. დილით, საუზმის და სადილის შემდეგ და საღამოთი ბავშები იბანენ ხელ-პირს, ფეხებს და გულმკერდს.

საყურადღებოა ბავშების „ჩემი გაზაფხულის ალბომი“, სადაც ბავშვებს შეაქვთ თავისი დაკვირვებები და შენიშვნები. აქვე ალბომში ბავშები ხატავენ სურათებს ბუნების დაკვირვებიდან და ყოველდღიურ ცხოვრებიდან.

საპატიო ადგილი ბავშების საზაფხულო ცხოვრებაში უკავია გასეირნებას და ექსკურსიებს.

ბავშვები ეცნობიან კოჯორის მიდამოებს, მიდიან სტუმრად სხვადასხვა სკოლების მოწაფეებთან, რომლებიც ზაფხულს კოჯორში ატარებენ. გაიმართა სტუმრობა პიონერთა ბანაკში, რომელიც მოთავსებულია კოჯორის მახლობლად.

აქ, კოჯორის აგარაკში, ეყრება მტკიცე საძირკველი სხვადასხვა ეროვნებების ბავშების კავშირს. კოჯორში იმყოფება რუსული საბავშო ბაღი. ქართული და რუსული ბაღების ბავშები მთელ დღეს ერთად ატარებენ, ერთი-მეორეს უმეგობრდებიან, ერთად სწავლობენ და თამაშობენ.

ამ სამი-ოთხი წლის წინად ლაპარაკი იყო კოჯორის გადაკეთებაზე ბავშთა ქალაქად. დღევანდლამდის ეს არ არის განხორციელებული, კოჯორში ძალიან ცოტაა ბავშები.

ბავშების მეტი ნაწილი იმყოფება თბილისში და მოკლებულია საშუალებას ისუნთქოს სუფთა ჰაერით.

კოჯორი უნდა გადაკეთდეს ბავშთა ქალაქად, ზაფხულობით უნდა მოუყაროთ თავი არა რამოდენიმე ათეულ, არამედ რამოდენიმე ათას და ათიათას ბავშს.

ამას მოითხოვს მომავალი თაობის გაჯანსაღების საქმე.

**ელ. გ—ლი.**

# სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ გაიშალა

სოციალისტური შეჯიბრება ფაბრიკა-ქარხნებს შორის თავდებია საბჭოთა მეურნეობის განმტკიცებისა.

მუშათა ფართო მასების აქტიური მონაწილეობით მთელი ასი პროცენტით შევასრულებთ სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმას.

რკინისებური შრომის დისციპლინა, მთავარი საშუალებაა სოციალისტური მშენებლობის ასალორძინებლად.

სოციალისტური შეჯიბრების ამოცანაა გარდაქმნას ჩვენი მეურნეობა სოციალისტურ საფუძვლებზე.



კომკავშ. მ ი გ უ ნ ო ვ ა, რომელმაც საკ. მაშტაბით შეჯიბრებაში გამოიწვია კომკავშირელები.



26 კომუნარის სახელ. ქარხანაში მუშა ამოწმებს საქსოვ დაზგას.



სტალინის სახელობის ქარხანაში ქვაბზე მუშაობენ



ახლად დამზადებული ტრაქტორები ეგზავნება სოფლად კოლმეურნეობებს,

## კომუნის ლექსი

### ილო მოსაშვილი

ცელი უვლის ლელიანს,
ბულულს მისდევს
ბულული.
ქალებს კვანძით შეუკრავთ სიცხისაგან კულული.

მაშველ ბიჭებს ვლიან,
მხეზე სწვავენ ქათიბებს.
მოხუცები
ტრაქტორით მოჭქცევიან სათიბებს.
გაშლილ სამკალს სიმღერით
წყება მისდევს მაყრულად.
იქით თივა მინდორზე ღრუბელივით
გაკრულა!
აქეთ სალეწ მანქანას
ხარბად ყბა დაუღია.
მტვერია
და ბულია.
ძნას უმარჯვებს რკინის კაცს კომუნარი გულლია...

გუგუნებს და გუგუნებს,
დორბლებს ისვრის ბორბალი...
არ ერჩევა კალოში
ოქროა თუ ხორბალი.
არ ერჩევა ზვინებში
ქალია თუ კაცია.
მინდორს ნამჯის მარმაში აბრეშუმი აცვია!..
ცელი უვლის ლელიანს
რაზმები რაზმს ელიან.
ეს ქალია კვალში თუ მოსხლეტილი შველია!..
ეს ქალია—
თუ ულო ძნაზე გადაკვანძილი!
მზე მიწაზე დაეცა
აღარა აქვს მანძილი...
ყანას ცეცხლი ედება.
ძნაში ცეცხლი ანთია.
დღეს ის არის პირველი,
ვინც აუსწრო განთიადს!
აქ სუყველა სწორია და სუყველა ძმებია,
ეს ბიჭებიც კომუნის შეკონილი ძნებია.
სიმღერაა გაშლილი.
შეტევაა ორწილი.
ბრძოლა არის მიწასთან და გაბმული ქორწილი:

რაზმები რაზმს ელიან.
იბრძვიან და შველიან.
ეს ქალია კვალში-თუ მოსხლეტილი შველია?!
ეს მკლავია-თუ ულო ძნაზე გადაკვანძილი?!
აქ სუყველა ძმებია.
ერთი კონა ძნებია...
აქ სუყველია ერთია, —წაშლილია მანძილი!

1929 წ 11 ივლისი.
ს. მაღარო,



თბილისის ფეხსაცმელის ქარხანაში მუშა ამზადებს ფეხსაცმელების ტყავს.



ფოთის პორტზე მტვირთავები შეჯიბრების შედეგს არკვევენ.



ახალ სახერხ ქარხანაში შრომის დონე წინანდელთან შედარებით ბევრად აიწია.

# საბჭოთა კურორტები

## ა ხ ტ ა ლ ა

ალაზნელი

კახეთის მაზრის ახალ ცენტრში, სადგურ გურჯაანის მახლობლად, ნახევარი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს კურორტი ახტალა.

ახტალა ძველის ძველი სამკურნალო ადგილია, რომელიც საქართველოს ისტორიკოსს ვახუშტსაც აქვს აწერილი: „გურჯაანის ჩრდილოეთით ფერდობზე მიწიდან ამოხეთქავს ცხელი კუპრისებური წებო, რომელსაც თან ამოაქვს კოვზი' ჯამი და სხვა გლეხის ოჯახისათვის საჭირო ნივთებიო"...











ახტალას განსაკუთრებით სახელი გაუთქვეს მე-18 საუკუნეში რუსეთის ჯარის ნაწილებმა, რომელნიც გზავნიდნენ როგორც ავადმყოფ ჯარის კაცებს, ისე მათ ცხენებს; ახტალის ტალახი თავისი თვისებით ღირსშესანიშნავია და პირველ ადგილს იკავებს სხვა ცნობილ სამკურნალო ტალახებს შორის.

დღევანდელი ახტალა იმყოფება გორებს შუა ჩაზნექილ ქვაბისებურ მიდამოში და 8-9 ალაგას ამოდის მორგვალო ტბების სახით. თითეულ მათგანს შუაგულში დაყოლილი აქვს ღრმა მილი, რომლიდან დუღილით ამოჰხეთქავს ხოლმე ტალახი (იხ. სურათზე) ტალახს აქვს თავისი მუდმივი ბუნებრივი ტემპერატურა, რომელიც 21-22 გრადუსს უდრის ცელსიუსით. გეოლოგების გამოკვლევით 7 მეტრის სიღრმეზე ტალახს 19 გრადუს სითბო აქვს, 22-23 მეტრის სიღრმეზე კი 20 გრადუსამდე ადის.

ტბა ზემოდან ნაცრის ფერისაა და თითქოს მაზუთითაა მოსხმული, ცოტაოდენი ნავთის სუნიც კი ასდის.

მრავალ წლების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ ტალახის მარაგი ახტალაში არ კლებულობს, მისი დღე-ღამის დებეტი 3600 ვედროს უდრის.

ახტალაზე ბანაობენ ბუნებრივ საგუბეებში და ხელოვნურად გაცხელებულ აბაზანებში. ფიზიკის კანონის ძალით ტალახში ადამიანი არ ჩაიძირება და დახრჩობის საშიშროება არ არსებობს. ამიტომ ყველა, ვისაც თავის დღეში ცურვა არ ცოდნია, ახტალაზე პირველ ხარისხოვან მოცურავე სპორტსმენად გრძნობს თავს.

შარშან გააშენეს ახალი შენობები, სადაც მოწყობილია 50 აბაზანი. ამ შენობის წინ მოთავსებულია 200 ვედროს ტევის ბაკი (კასრი, რომელიც ღარების საშუალებით ივსება ტალახით, აქ ტალახი ცხელდება და ნაწილდება შემდეგ აბაზანებში.

ახტალის სეზონი იხსნება 15 ივნისიდან და გრძელდება ოქტომბრის 15-მდე. ტალახის მიღება შეიძლება (როგორც ბუნებრივის, ისე გაცხელებულის) დილის 7 საათიდან საღამოს 7-მდე.

ახტალის ტალახს ეზიდებიან კასრებით ამიერ კავკასიის სხვა და სხვა კუთხეებში: ადერბეიჯანში, სომხეთში და უმთავრესად კი თბილისში და ბათომში, სადაც მოწყობილია სპეციალური ტალახით სამკურნალოები. ამგვარად ყოველწლიურად ახტალიდან გააქვთ 200 ტონამდის ტალახი.

მიუხედავათ ახტალის ასეთი თვისებებისა, საქართველოს გასაბჭოებამდის ის უყურადღებოდ იყო დატოვებული. გუბეებში ხშირად კამეჩებს დაინახავდით, რადგან შემოღობილიც არ იყო, 1924-25 წლებში გაშენებულ იქნა 25 ოთახიანი საზაფხულო ბარაკები, რომელნიც იტევენ 100-მდე ავადმყოფს ბარაკებში უმთავრესად დაზღვეულები სცხოვრობენ. ახტალაზე ყოველწლიურად რამოდენიმე ათასი ავადმყოფი ჩამოდის, ესენი ახლო მახლო გლეხების სახლებში ეწყობიან.

მიმდინარე წელს ნავარაუდევია 5500 ავადმყოფის გატარება კურორტზე.

თითო აბაზანის მიღება კერძოთ ღირს 1 მ. 50 კაპ., შეღავათიანებისათვის (დაზღვეულები, პ/კავშირის წევრები) 85—100 კაპ., ცივი კი 30—50 კაპ.

ჯანმრთელობის განყოფილების და გურჯაანის თემალმასკომის განკარგულებაში იმყოფება უფასო ბილეთები ღარიბებისათვის. დაახლოვებით 5 კაცი ყოველდღე უფასოდ მკურნალობს.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე კურორტი თვალსაჩინოთ შეალამაზეს. ბარაკებს წინ გაშენდა ბაღი სივრცით ერთ ჰექტარზე. ჩრდილოეთით ფერდობზე ერთი ჰექტარის სივრცეზე გააშენეს ფიჭვნარი, შეალამაზეს ბუნებრივი მუხნარი ტყე, ბარაკებს მიეცა რემონტი, მოეწყო სამკითხველო და ბუფეტი.

კურორტი განათებულია ელექტრონით. ახტალის კურორტი საკუთარ სამეურნეო ხარჯზეა გადაყვანილი და ის ინახავს თავის თავს. შარშან დაახლოვებით 4-5000 მანეთი მოგება ქონდა, წელს ხარჯები ნავარაუდევია 11000 მანეთის რაოდენობის და შემოსავალი კი 17600 მან., აღმშენებლობაზე დაიხარჯება 3100 მანეთი.

ჩამოსულ ავადმყოფებს შორის შეხვდებით ჩვენი კავშირის თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელთ.

დღითი დღე ახტალის ტალახების პოპულიარობა იზრდება. ამავე დროს, აღმშენებლობის ტემპი, რომელიც დღეს არსებობს, არ აკმაყოფილებს წამოყენებულ მოთხოვნილებებს.

შესაფერისი საზამთრო შენობები და მოწყობილობა რომ იყოს, ახტალის ტალახით სარგებლობა შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში. ზაფხულ-ზამთარში.

ამიტომ საჭიროა ახტალას მეტი ყურადღება მიაქციონ, როგორც საკურორტო სამმართველომ, ისე ადგილობრივმა მაზრის ხელისუფლებამ, მაშინ კურორტი ახტალა სულ ახლო მომავალში დაიჭერს ერთ თვალსაჩინო ადგილს საკავშირო კურორტებს შორის და დიდ სამსახურს გაუწევს სახალხო ჯანმრთელობის საქმეს.

---



პატარა ცემი

# პროლეტარული მწერლობის პროზა

## კ. ლორთქიფანიძის „პირველი დედა“.

პროზის ფრონტი პროლეტარულ მწერლების მიერ დიდხანს იყო მივიწყებული. უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვხედავთ ამ უყურადღებობის ლიკვიდაციას. ეს ნაწილობრივად პროლეტარული მწერლობის ზრდის და მოწიფულობის ხანში შესვლის შედეგიც არის. მწერლობის ამ დარგის სიმაღლეების დაპყრობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ პროლეტმწერლობის განვითარების შემდგომ პერიოდში.

პროლეტარ მწერლებში პროზის ფრონტზე განსაკუთრებით აღსანიშნავია კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, თავის ახლად გამოსულ „პ ი რ ვ ე ლ ი დ ე დ ი თ“. ეს ნაწარმოები უეჭველად პროლეტარულ მწერლობის დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. აქ საკმაოდ დამაკმაყოფილებლად დაძლეულია არა მარტო სიუჟეტი, არამედ ფორმის პრობლემებიც. მკითხველს ხიბლავს და იტაცებს ამ ნაწარმოებში როგორც მასალა, ისე ამ მასალის დამუშავების ხერხი. პირველ რიგში თქვენს ყურადღებას იპყრობს სტილის სიახლე. ყოველი სიტყვა მარჯვედ და თავისუფლად არის ნახმარი. სიტყვების დაძლევა, მისი დამორჩილება ყველა პროლეტარ მწერალს როდი ეხერხება. ზოგიერთი მწერალი სიტყვებს თვით უხდება მონად, ზოგიერთს, უცხო წრის და სხვა კლასის ლექსიკონიდან მოთრეული სიტყვები, თვით იყენებს.

„პირველ დედაში“ ავტორს მოხერხებულად ნაჩვენები აქვს ჩვენი ცხოვრების ერთი აქტუალური მომენტი: როგორ სდგას, ან როგორ ეხმაურება ახალგაზრდობა სექსუალურ საკითხებს. რუსულ ენაზე ამ საკითხის შესახებ მდიდარი ლიტერატურა არსებობს, როგორც წმინდა სამეცნიერო, ისე მხატვრული შინაარსისა. არა ერთ და ორ პროლეტარ მწერალს ასახული აქვს ეს მომენტი, თავის მხატვრულ შემოქმედებაში-ახალგაზრდობის სექსუალურად დაავადების მშვენიერ ილიუსტრაციას იძლევა ა. ბოგდანოვის ცნობილი მოთხრობა „პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი შ ი ლ ი“, რომლის გაელენის ქვეშაც დაწერილია „პირველი დედა“.

მაგრამ ჩვენი ავტორი სიტყვის ოსტატობაში და მასალის დამუშავებაში, არამც თუ ჩამოუვარდება თავის თანამოკალმე—თანამებრძოლ რუს ამხანაგებს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში სჯობნის კიდეც. მაგალითად „პირველი დედა“, როგორც სიუჟეტის, ისე დამუშავების მხრივ უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ბოგდანოვის „პირველი ქალიშვილი“.

სარეცენზიო მოთხრობის ფონად აღებულია კომკავშირის საწარმოო უჯრედი. სამუშაოს გათავების შემდეგ იწვევენ მუშების საერთო კრებას. კრების წევრებს არ ახასიათებთ მონასტრული ერთსულოვნება. უთანხმოება იქიდან იწყება, შესდგეს თუ არა დღეს კრებაო. ზოგიერთ მუშას, განსაკუთრებით ხნიერებს, სახლისკენ მიეჩქარებათ, კრებისთვის არა სცხელათ. ახალგაზრდების ენერგიული მონდომებით კრება მაინც სდგება. კრების პროცესში ყველანი როლში შედიან, სახლი ყველას ავიწყდება, იმათაც კი ვინც ორიოდე წუთის წინათ კრების მოხდენის წინააღმდეგი იყვნენ.

ძალიან ცოცხლად და სხარტად არის ასახული კრება. ყოველ კრებას ჰყავს თავისი სანჩო—პანჩოები, თავისი ჩიჩერინები, თავისი ნაცნობი ხალხი. რაც არ უნდა მოხდეს, რა საკითხიც არ უნდა დაისვას, ისინი ყოველთვის ერთის წინადადებებით გამოდიან. ზოგი რა დარგში ორატორობს და ზოგი რა დარგში. მუშა გიდონს სხვა საქმე არა აქვს კრებებზე, თუ არა იმ წინადადებებით გამოსვლა, რომ სადაო საკითხის განხილვა ბიუროს მივანდოთ, ან კომისია ავირჩიოთო. ის ამის ნამდვილი სპეცია.

აი, ყოველი კრების მეორე განუყრელი წევრიც. იცნობდეთ მუშა ხუხუნი გახლავთ. კრებაზე ჩამოვარდნილი სიჩუმე და სიწყნარე მისი მტერია. ის სიჩუმეს ვერ უძლებს. ასეთ მომენტში უეჭველად ჩასთვლემს. ასეთ დროს ის თავის მოწოდების სიმაღლეზე სდგება და შემარიგებელ და დამაზავებელ სიტყვას ამბობს.

ყველა არ არის მოწინავე მუშა. ყოველი მუშა სრული 100 პროცენტით არ სდგას თავის მდგომარეობის სიმაღლეზე. მუშა გიდონი ვერ ამაღლებულა თავისი კლასის შეგნებამდე. ის თავის ვიწრო, „მე“-საკენ მიიწევს. თავისკენ ითლის ყველაფერს. მას თავისებური ფილოსოფია აქვს. მასში საზოგადოებრივი ინტერესის გრძნობა პირადი ინტერესების გრძნობით დაჩრდილულია. ის თავისას წაიმუშავებს და მორჩა. შემდეგ ის ერთი წუთითაც არ გაანძრევს ხელებს. რის შაბათობა, რა შაბათობა. ის ამას არ დაგიდევს მისი შეგნებისათვის, ასეთი რამე ხელმიუწდომელია.

მაგრამ მუშების დიდ უმრავლესობას აქვს თავისი კლასის სალი შეგნება, ზოგს შორეული, ზოგს მახლობელი, ზოგი ინსტიქტიურად შეიგრძნობს და სტიქიონურად იჩენს ამას, ზოგიც გონებრივი ჭვრეტით წარმოიდგენს, ესმის და კარგადაც, რომ ყოველ მათგანს დიდი გარჯილობის გამოჩენა მართებთ ქვეყნის სოციალიზმის ლიანდაგზე გადასაყვანად. იმათ არც ის ავიწყდებათ რომ დღეს მარტო დაქირავებული მუშები კი არ არიან, რომ მხოლოდ 8 საათი წაიმუშაონ და შემდეგ ქვისქვაზე დადუღების გუნებაზე დადგნენ.

ასევე ცოცხლად და მოხდენილად არის ასახული თვით შაბათობაც, ამ შაბათობის დროს გამართული შეჯიბრი წარმოებაში. მუშა საქმობს თუ ლაპარაკობს, იბრძვის, მუშაობს, მხიარულობს თუ მწუხარებას ეძლევა, მას ყველაფერში თავისებური იერი აქვს, თავისებური შნო და ლაზათი. მუშა თავისი გულის ნადებს თავისებური ენა-მახვილობით გამოსთქვამს. მუშური ენის სტილი ჩვენს ავტორს სარეცენზიო ნაწარმოებში ზედმიწევნით დაცული აქვს. ეს მის დიდ გამარჯვებად და მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ნაწარმოების ღირსება და მთავარი ფიგურა რაც ზემოდ აღვნიშნე, ის როდია. აღნიშნული მხოლოდ ფონია და ამ ფონზე გაშლილია კომკავშირის ცხოვრება სექსუალურ დარგში. ბევრი ახალგაზრდა ვერ ერკვევა ამ საკითხში, ბევრს უცდება აქ ფეხი, არის გადახრები, ზოგრბა გადავარდნები. ჯოხის მეორე მხარეზე გადალუნვა. უკიდურესობები. მამაკაცი, უკიდურესად მემარცხენე საზოგადოებრივ ასპარეზზე, უკიდურესი მემარჯვენეა ქალის მიმართ ოჯახურ ურთიერთობაში. პირველი დედის მთავარი ფიგურა ჩვენი ცხოვრების ეს მომენტია.

პირველი დედის ერთი მთავარი მომქმედი პირი გაიანე, მუშა გიდონს მიყვება ცოლად. გაჩნდა ოჯახი, ოჯახური კერა თავისი წვრილმანობით. გიდონი, მიუხედავად თავისი კომკავშირობისა, ჩვეულებრივი მეშჩანია ქალთან დამოკიდებულებაში. ის ქალს გასაქანს არ აძლევს, ოჯახურ მარწუხებზე მაგრად აკრავს. მეშჩანიზმის „სჩოტს“ ორჯერ გადიდებულად ურდგენს თავის ქალს. კრებაზე რა ესაქმება ქალს, როდესაც მას შარვალი აქვს გასაუთოვებელი და თავი დასაბანი. ცოლად რომ მოგიყვანე განა არ უნდა მომხედოო, ეუბნება ის ქალს. კომკავშირელ ქმარს თავის ქალისაგან მხოლოდ ალერსი და სიყვარული სწყურია და კრებაზე დაღლილს და მოთენთილს კი ეს სად შეგიძლიანო. ასეთ პირობებში ქალი ირიყება საზოგადოებრივ და პარტიულ ცხოვრებისაგან, ერთ დროს მოწინავე, დღეს ჩამორჩენილია, მრავალ საკითხებში ვერ ერკვევა, იბნევა.

მოთხრობის მსვლელობაში გამოაშკარავებულია კომკავშირის წრეში ფეხ მოკიდებული სექსუალური ალვირ ახსნილობა და ნაწილობრივად გახრწნა. ნორმალური სექსუალური ურთიერთობა მეშჩანიზმად არის აღიარებული. ოჯახის შექმნის სურვილი ჩამორჩენილობათ, ხოლო სექსუალური მსუნაგობა კი მოწინავის და განათლებულობის მარკით არის გასაღებული. აქ ჯოხი მეორე მხარეზეა გადატეხილი და ქალთან შემთხვევითი დამოკიდებულება პრინციპშია აყვანილი. ოჯახი, მიუხედავად იმისა თუ რანაირი იქნება ის, გარდამავალ პერიოდისათვის ხელაღებით უარყოფილი.

გაიანეს სახით, გაიანეს მაგალითზე, მშვენივრად არის მოცემული ქალის ტრაგედია. გაიანე ერთი იმათგანია, რომელიც მსხვერპლად ეწირებიან შექმნილ დუხჭირ პირობებს. მისი დიდი ენტუზიაზმი, მაღალი მისწრაფებები და რევოლუციონური სურვილები მარცხდებიან იმ ატმოსფერაში, რომელიც ქალისათვის არის შექმნილი. მასში ასეთი თვისებების გამოჩენას არავინ თხოულობს, ის ყველას თავისი ინსტიქტის დაკმაყოფილების საგნად უნდათ. მასთან მამაკაცი პარ[ტ]იული იქმნება, ის, თუ უპარტიო, სხვა რამეზე არ ლაპარაკობს თუ არა სიყვარულზე. თითქოს ქალთან სხვა რამეზე ლაპარაკი არ შეიძლებოდეს.

აქ ჩვენის აზრით ავტორი რამდენიმეთ აჭარბებს. უარყოფით თვისებებს ზოგადად ხდის. გამონაკლის შემთხვევებს მთლიანობის სურათად გვიხატავს. ავიწყდება, რომ ივანე და პეტრე ნაწილია საზოგადოების და არა მთელი საზოგადოება. გიდონებით არ ამოიწურება კომკავშირის შემადგენლობა. არც მისი შეგნება და ამ საკითხისადმი მიდგომა არის ერთად ერთ ჭეშმარიტებათ აღიარებული. ეს რომ ასე იყვეს, მაშინ სექსუალური გახრწნა ნორმალურ საქმედ იქნებოდა მიჩნეული, ავტორს ასეთი შინაარსის მოთხრობების წერა არ დასჭირდებოდა და არც ასე დანაშაულზე სისხლის სამართლის და პარტიული სასჯელი იქმნებოდა დადებული.

სარეცენზიო მოთხრობის მეორე ნაკლად ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ ავტორს ამ გახრწნის ერთად ერთ მიზეზად მხოლოდ მამაკაცები ჰყავს გამოყვანილი.

ეს არ არის სავსებით მართალი და ცხოვრების სინამდვილის სავსებით სისწორით აღნუსხვა. სექსუალური ალვირ ახსნილობა არა მარტო მამაკაცებს, არამედ ქალებსაც ახასიათებთ.

მიუხედავად ამ ნაკლისა, ეს აქტუალური და საჭირბოროტო პრობლემები ისეთი მხატვრული გაქანებით და ხერხით არის მოცემული, რომ წიგნი თავიდან ბოლომდე დიდი ხალისით და ინტერესით იკითხება.

ფარი.

# ნატახტარის წყალსადენი



თბილისი ამჟამად კმაყოფილდება მტკვრიდან ამოღებულ და გაწმენდილ წყალით, რომელსაც ვიღებთ ავჭალის წყალსადენიდან. სულ მოკლე ხანში თბილისი მიიღებს ბუნებრივ წყაროს წყალს, ამის გამო გაცხარებული მუშაობა სწარმოებს ნატახტარში, იჭრება არტეზიანის მრავალი ჭა მტკვრის, არაგვის და ქსანის მთების გადმოლმა ადგილებში, რომელსაც ეწოდება ნატახტარი. მიწის ქვეშ გამოჰყავთ წყალსადენის გვირაბები და არხები. ნატახტარის ბუნებრივი წყაროები იმდენად დიდი და მრავალწყლიანია, რომ თბილისს დააკმაყოფილებს, თუნდაც მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდოს სამჯერ და ოთხჯერ, ვიდრე დღეს იგი არის.

სურათზე ნაჩვენებია თბილისის ახალი ნატახტარის წყალსადენის მეტეოროლოგიური სადგური, ბურღი, რომლითაც სთხრიან არტეზიანის ჭებს, არტეზიანის ჭა № 2. ამ ჭიდან წყალმა დიდის სიმძლავრით, ამოხეთქა 74 მეტრზე; ნატახტარის ხელოვნური მდინარე და სხვ. ნატახტარი მდებარეობს მცხეთიდან თორმეტ ვერსის მანძილზე ჩრდილოეთით.

## ა გ ა რ ა კ ი  შ ა მ შ ო ვ ი



აგარაკი შოვი მდებარეობს რაჭაში და ითვლება საქართველოს კურორტებს შორის ერთ საუკეთესო ტუბერკულიოზის სამკურნალო კურორტად. ამ რამდენიმე წლის წინად შოვს ყურადღება მიაქცია ამხ. შ ა მ შ ე  ლ ე ჟ ა ვ ა მ რომლის ინიციატივით აშენდა ახალი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, რის გამო მას უწოდეს „შამშოვი“.

# დასავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეობა



**1) სათესლე პარკის გადარჩევა; 2) საქსოვი ქარხანა; 3) ახალ სენაკის ბაზარზე ძაფის გაყიდვა; 4) ძაფის კუსტარული დამუშავება; 5) პარკის გაშრობა და ხელოვნურად ჭიის დახოცვა.**

მეაბრეშუმეობის დიდი კულტურა გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით ქუთაისის მაზრაში. ყოველ წელიწადს მცხოვრებლებს, უმეტესად მუშა ქალებს, მოჰყავთ ათასობით ფუთი აბრეშუმის პარკი, რაც მუშავდება ადგილობრივ აბრეშუმის სახვევ და საქსოვ ქარხნებში. სურათზე ნაჩვენებია მეაბრეშუმეების მუშაობის სხვადასხვა მომენტი სეზონის განმავლობაში. სათესლე პარკის რაციონალური გადარჩევა, ძაფ-ს ამოხვევა, ახალსენაკის ბაზარზე კუსტარულად დამუშავებულ ძაფის გაყიდვა, ყაჭის დართვა და აბრეშუმის საქსოვი ქარხანა. (იხილე ამავე ნომერში წერილი მეაბრეშუმეობაზე).

# ქუთაისი — მეაბრეშუმე-ობის ცენტრია

საქართველო მეაბრეშუმეობის ქვეყანათ ითვლება, ხოლო საქართველოს მეაბრეშუმეობის ცენტრი კი ქუთაისია. ჯერ კიდევ ამ ასი წლის წინეთ ქუთაისში და ზონში არსებობდნენ და მუშაობდნენ აბრეშუმის მქსოველი განთქმული შინამრეწველნი, რომლებიც მხოლოდ თავისი ხელობით სცხოვრობდნენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მეაბრეშუმეობას ჩვენში, მიუხედავად საფეიქრო ტეხნიკის განვითარებისა, მაინც პრიმიტიული სახე ჰქონდა. ამჟამად კი აბრეშუმის მრეწველობას, ისევე როგორც მრეწველობის სხვა დარგებს, დიდი წინსვლა ეტყობა.

ქუთაისში ამჟამად მოწყობილია ახალი საგრენაჟო სადგური, რომლის მაგვარიც თავისი ტეხნიკური მოწყობილებით, არა თუ საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთშიაც იშვიათად მოიპოება. აღნიშნული საგრენაჟო სადგური მოწყობილია მეაბრეშუმეობაზე არსებული მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების თანახმად და ყოველ წლიურად ამზადებს 30.000 კოლოფ აბრეშუმის თესლს. ქუთაისშივე არსებობს აგრეთვე მეორე საგრენაჟო სადგურიც, რომელიც უკვე კარგა ხანია მუშაობს და რომელიც თავის მოწყობილობით ბევრათ ჩამორჩება ახალ საგრენაჟო სადგურს.

მიმდინარე წლის თებერვალში ქუთაისელმა მეებრეშუმეებმა იზეიმეს ახალი გამარჯვება: ამუშავებულ იქნა აბრეშუმის ძაფსახვევი ახალი ქარხანა, რომლის აგებაც საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო სულ ერთი წლის განმავლობაში. ქარხანაში დადგმულია 144 აუზი, რომელთაც და ყოველწლიურათ შეუძლიანთ გადაამუშაონ 760.000 კილოგრამი ნედლი პარკი.

იქვე არსებობს აგრეთვე აბრეშუმის პარკის დამამზადებელი პუნქტი მექანიკური საშრობ-საშრობი სახელოსნოთი. სახელოსნო მოწყობილია ე. წ. სიმპლექსის სისტემით და ითვლება ერთ საუკეთესო მოწყობილ პარკის სახმობ-საშრობ სახელოსნოთ მთელ საქართველოში.

შინამრეწველთა კოოპერაციის ხაზით ქუთაისში არსებობს აბრეშუმის საქსოვი პრიმიტიული ქარხანა, რომელიც მუშაობს უმთავრესად კერძო დაკვეთებით.

გარდა აღნიშნული დაწესებულებებისა მიწათმოქმედების კომისარიატს ქუთაისშივე მოწყობილი აქვს თუთის ხის სანერგე და მეაბრეშუმეობის საჩვენებელი სადგური.

საბჭოთა კავშირში ქუთაისი ერთად-ერთი ქალაქია, სადაც მეაბრეშუმეობის საქმე ასე ფართოდაა დაყენებული და სამართლიანადაც ქუთაისი ითვლება საქართველოს მეაბრეშუმეობის ცენტრად.

**დ.**



ხაშურის დელეგატი ქალები რკინის გზის ათასეულში ყაზარმების დათვალიერების შემდეგ ჯარისკაცების ტანისამოსზე და საცვლებზე ხელსაქმობენ. უკან ჯარისკაცები.

სანდრო შანშიაშვილი

# მემანქანე სიკო

შემოდგომა იყო. ქვევრებში მაჭარი დუღდა. სერებზე გაშენებულ სოფლის უბნებიდან გრძელს „სუფრულს“ და „ჩაკრულოს“ მღეროდნენ.

მხოლოდ ერთ სახლთან ისმოდა დედაკაცების წივილი და მამაკაცების ყვირილი.

— რა გინდა? ვის სახლში მოსდიხარ?

ეუბნებოდა ახალგაზდა, აშოლტილი ბიჭი, რომელიც სახლის კართან ჩამდგარიყო და მისულს სახლში არ უშვებდა.

— მე შენ გიჩვენებ, ვინც ვარ!

— ვინ ხარ? არ მეტყვი? ყაჩაღი ხომ არ ხარ, სახლში მივარდები?

— მე ვარ ყაჩაღი? მე შენ გიჩვენებ...

ეუბნებოდა მოსული, თვალებს აპრიალებდა, იგინებოდა და თან გლეხს ცხვირწინ რევოლვერს უტრიალებდა. ძალიან მთვრალი იყო.

ამ დროს სამუშაოდან აშოლტილ ბიჭის უფროსი ძმაც მოვიდა.

ვენახიდან შეშად ნატეხი და გამოუსადეგარი სარები წამოეღო.

ხმაურობა რომ გაიგო, სარის კონა დაბლა დააგდო და ერთი ხელმოკლე კეტი ამოარჩია ყოველ შემთხვევისთვის.

— რა გინდა, კაცო? ამ ჩემს ძმას რას ერჩი? —ჰკითხა მოსულმა გლეხმა.

— შენ ვილა ოხერი ხარ?

— თუ არ იცი, ვინ ოხერიც ვარ, მაშ ამ ჩვენ ბინაზე რისთვის მოსულხარ? ან ჩემს ძმას რად ეჩხუბები? მე ვარ აბრამა, მაგისი ძმა და ამ სახლის პატრონი!

— მე სიკოსთან მაქვს საქმე, მემანქანე სიკოსთან!

— სიკო ჩვენი საშუალო ძმაა, ეხლა შინ არ არის და იმას აქ ვერც ნახავ! სამი წელიწადია ალაზან გაღმა იმერლებთან მუშაობს...

— ეს მაშ ვინ ოხერია?

— მე „ოხერი“ არ ვარ, არა! ოხერიც და ტიალიც შენ ხარ, რომ ბინდისას მთვრალი სახლში მივარდები... ეუ ნებოდა აშოლტილი ბიჭი.

— ძმაო, მეგობარო, ეგ ჩემი უმცროსი ძმა არის—მიხო! რას ერჩი? რა გინდა მაგისგან?

— მე სიკო მინდა... თქვე... თქვე... და შეიგინა. შეგინებას პასუხი მოჰყვა, პასუხს ხელისკვრა. ვიღაცამ მოსულს რევოლვერი წაგლიჯა,

თორემ მოხდებოდა უბედურება. ხალხმა გააშველა.

— მე იცით ვინ ვარ? მე ვარ აღმასრულებელი... მე თქვენ გიჩვენებთ...

ორმა გლეხმა ხელი მოჰკიდა და ეზოში გამოიყვანა. აღმასრულებელი მორზე ჩამოჯდა. ქშინ ვდა. გულზე ხ ლს იცემდა. რაღაცას ბურტყუნებდა. წვალობდა. შემდეგ ღვინომ დასძლია, პირზე ხელი მიიფარა, უნდოდა მოწოლილი გულის რევა შეემაგრებინა, მაგრამ ვერ შესძლო, ერთი „უყუ“ დაიძახა და „წითელი ბატკნები“ გაშალა.

— აი, რას უწვალებია! მოიტათ, სარი მიეცით, ცხვარი გარეკოს! - იხუმრა ერთმა გლეხმა, აღმასრულებელს თავი დაუჭირა და წყალი მოითხოვა.

აღმასკომის თავმჯდომარეს გაეგო ეს ჩხუბი და ადგილზე მოვარდა.

— რა ამბავია?

— მე ვარ აღმასრულებელი... შენ ხომ იცი! არ მემორჩილებიან... აი, აი... ძალას ხმარობენ... ხელისუფლების წინააღმდეგ... შენ ხომ გუშინ გამოგიცხადე, რომ უნდა ქონება ამეწერა...

აღმასკომი მიხვდა, რაშიაც იყო საქმე და საყვედურით უთხრა:

— მერე, რატომ მე არ შემატყობინე, როცა აქ მოხველი?

— გეუბნები, ძალას ხმარობენ.... შენ თუ აღმასკომი ხარ... ეხლავ შეიპყარ... ხელისუფლებას აგინებენ... ჰო, მე ხელისუფლების.... აი, მე ვარ... ეგენი კი მმაჰა....

უმცროსი ძმა მიხო იძახოდა:

— ვინც უნდა იყოს, ბინძისას რას მივარდება სახლში?

— მე თქვენ გიჩვენებთ... ბუტბუტებდა აღმასრულებელი!

— თუ ჩემი ძმა სიკო უნდა, წამომყვეს და ვაჩვენებ!

— შენი ყველაყისამ შენს ძმას სანთლით დავუწყებ ძებნას... ენის ბორძიკით უპასუხებდა აღმასრულებელი.

— აი, სახლი და ქონება! მე ეს უნდა ავწერო და ყადალა დავადო...

გლეხების მოხუცი დედა თავს დასტრიალებდა მთვრალს აღმასრულებელს, ხელში ლიტრა და პირსახოცი ეჭირა...

— რას გვემართლები, შვილო? ჩემმა შვილებმა ვის რა დაუშავეს? ერთი საწყ.ლი ოჯახი გვაქვს, შავის დღით, წვითა და დაგვით დამიზრდია... ავი სიტყვა არავისთვის უთქვამთ...

აღმასკომი ძმებს აშვიდებდა და თან არწმუნებდა, რომ არ შეიძლება აღმასრულებელს წინააღმდეგობა გაუწიონ, რომ მას უფლება აქვს ქონება ასწეროს... თან გულში ბრაზობდა: მთვრალი რას მოეხეტებოდაო...

— კაცო, შენ ხომ იცი, რომ სამი წელიც არის ჩვენს ძმას სიკოს ჩვენთან საქმე აღარ აქვს... ის გაყრილია...

აღმასრულებელმა ყურები აცქვიტა:

— მაშ მიჩვენეთ გაყრილობის საბუთი...

კრიჭა მოუჭრა აღმასრულებელმა. აღმასკომის თავმჯდომარეც იმ ხანად გამოუცდელი იყო, პირველად არჩეული უპარტიო, უფრო სჯეროდა აღმასრულებელის, რადგან „ნასწავლად“ მიაჩნდა... „უკანონობას როგორ ჩაიდენს, ენდობიანო!“ ფიქრობდა გულში...

— რის საბუთი? აი, ხალხი და სოფელი! ქვეყანამ იცის, სამი წელია სიკო ალაზან გაღმა გადასახლდა...

აღმასრულებელი კბილებს აკრაჭუნებდა:

— მე თქვენ გიჩვენებთ, თუ ციხეში არ ამოგაყოფინეთ თავი! მაშ მე „ჩუსტიას“ ბიჭი არ ვყოფილვარ!

— კაცო! მიხო! აბრამ!—ეუბნებოდათ ძმებს აღმასკომი ილია—დამიჯერეთ, მაგას უფლება აქვს მოვიდეს, აწეროს და შემდეგ გაასაჩივრეთ... კაცო, ნუ ჯიუტობთ! კანონს დაემორჩილეთ!

როგორც იყო მიხო დააჯერეს... აბრამაც დასთანხმდა.

— მოვიდეს აწეროს! რა გვაქვს? თითო ხელი დაგლეჯილი ლოგინი, ჩემი ცოლის ორი ქვაბი და რამდენიმე დახეული საცვალი—მოვიდეს აწეროს!

მიხოს კი გულში ბოლმა უტრიალებდა: „ჩვენ რა დამნაშავენი ვართ, თუ ჩემს ძმას სხვისი ვალი ჰმართებს? კაცო, ეს სამართალია?“

იმდენად შეღამდა, რომ ლამფები აანთეს.

სთხოვეს აღმასრულებელს: მოდი და ასწერეო!

— მე მაგათ სხვაგან მოვთხოვ პასუხს! .

სთქვა და წამოდგა. წაბარბაცდა. აღმასკომმა ხელი შეაშველა...

— მაგათ სხვაგან მოვთხოვ პასუხს...

ბუტბუტით და გინებით გაშორდნენ მიხას და აბრამას ბინას.

იმ ლამეს აღმასრულებელი იმავე სოფელში ნათესავს ეწვია. აღმასკომი არ გამოუშვეს. თურმე ნათ.სავს ვახშამი მოემზადებინა. აღმასკომი გაბოროტებული და თავჩალუ:ული იჯდა. რად მოხდა იმის რწმუნებულ თემში ასეთი ჩხუბი? სულ რამდენიმე თვეა რაც აირჩიეს... სოფელი ენდო, ხელისუფლებამაც დაამტკიცა... ეხლა რომ რამე უკანონობა მოხდეს, ხომ პასუხს მოსთხოვენ? მაგრამ სასამართლოს აღმასრულებელი ვგონებ რომ არ ჩაიდენს უკანონობას... მაინც რომ შერიგდებოდნენ, კარგი იქნება!“ სთქვა აღმასკომმა და კიდეც სთხოვა: შერიგდითო. ამ დროს ვახშამი იშლებოდა. აღმასრულებელმა სიტყვა გადაუგდო, იმედი მისცა: ეს არაფერიაო. სოფელში ბევრი ამისთანა ამბავი ხდებაო... სისხლი ხომ არ დაღვრილა, ვაპატიებ და ეს იქნებაო! დააიმედა აღმასრულებელმა.

—

სამის წლის წინად, ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ მანქანებზე კერძო საკუთრება არსებობდა, სიკოს და მის ამხანაგს—მათეს—იჯარით სალეწი მანქანა აელოთ.

მანქანა დაფუნკული და სამუშაოდ გამოუსადეგარი იყო, რადგან ქალაქში გადასახლებული პატრონი მისთვის აღარ ზრუნავდა. მით უმეტეს გრძნობდა, როდისმე მის მანქანას კოლექტივს გადასცემდნენ და თავს აღარ იტკიებდა რემონტისათვის. რაკი სიკომ ხელი მოჰკიდა, ფული ივალა და ორმოცი თუმანი რემონტს მოანდომა.

როდესაც ლეწვის დრო მოახლოვდა და მანქანა მინდვრად გაიტანეს, მოიკითხეს რემენი. (ლამბი).

ლამბი ვიღაცას მოეპარა.

სიკო მთელი დღე მკვდარივით ეგდო.

— ამდენი ფული ვივალე, სალეწს დავახარჯე და ახლა რემენი გამიხდა ხათაბალად? ფუუ!

და მოაგონდა, რომ მის მეზობელს ანჯიქოს, წისქვილის პატრონს, ს.ხლში რემენი ჰქონდა.

როცა ანჯიქოს წისქვილი ჩამოართვეს, მაშინ ეს რემენი გადაემალნა.

სიკო გიჟივით წამოხტა. ცალფეხზე ქალამანი ჩაიცვა და ცალზედაც ძირგამოგლეჯილი მესტი, რადგან წინა დღით ცალი ქალამანი მეზობლის ძაღლს მოეტაცნა.

ანტიქომ პირველ დალაპარაკებაზევე შეატყო, რომ სიკოს ძალიან კასჭირებოდა.

— მე ის რემ ნი დამალული მაქვს, გაიგებენ და იმასაც ჩამომართმევენ... თუ გინდა, აქვე მოვრიგდეთ: რას მომცემ?

— ოღონდ გავიმართო, ხვალ სალეწი გავუშვა და, ვინ თავმკვდარი, ერთი-ორად არ გადაგიხადის!!

- არა! მე ერთი-ორად არ მინდა!

— კარგი! რა მოგცე?

— თვრამეტი არშინია, თვრამეტს თუმანს გამოგართმევ!

ეგ ხომ ნახმარია, მოდი შუაზე გავყოთ! ცხრა იყოს!

— ნაღდი გაქვს?

— ნაღდი რომ მქონდეს, ხომ ქალაქში წავიდოდი და მაგ ფასად ახალს ვიყიდდი!.· აი, გავლეწავთ და ხორბალი წაიღე.

— აბა, ნაღდიც არ გქონია! არა, ვერ მოგცემ...

დაღონდა სიკო.

რა ქნას? მართლაც, ფული რომ ჰქონდეს, ცხრა თუმნად ახალსაც იყიდდა!

სიკო გამობრუნებას აპირობდა, რომ შუაკაცი ჩაერია—მეტ სახელად პაპული—და ორივე მხარე მოარიგა. შეთანხმდნენ თორმეტ თუმნად!

— აი, რაკი ნაღდი არ გქონია, გამზადებული ვექსილი მაქვს—ვინ იცის, კაცნი ვართ, სიკვდილ-სიცოცხლეა, ამ ვექსილზე მომიწერე, რომ ჩემი თორმეტი თუმანი გმართებს და სამი თვის შემდეგ თუ ვერ ჩამაბარე, იხდი ამ ფულის გარდა ყოველგვარ ჯარიმას და სასამართლოში გაწეულ ხარჯებს...

— სამს თვეს რა უნდა, პირველ კვირასვე ჩაგ ბარებ!

ვექსილი დასწერეს, მოწმესაც ხელი მოაწერებინეს.

ფუთნახევარი რემენი, კარგად არც კი უნახავს, ვარგოდა—არ ვარგოდა, წამოიკიდა მშიერმა სიკომ ზურგზე და სალეწზე წაიღო.

იმის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ხელი წაემართა.

მოდიოდა გზაზე დატვირთული და თან გუნებაში ანგარიშობდა:

— დღეში სულ ცოტა ათი ფუთი ხორბალი მექნება შემოსავალი, თვეში დაიჭერს სამას ფუთს და თუ ოცი ფუთი შემოვიდა, ექვსასი... იჯარასაც გავისტუმრებ, ვალსაც და მე და ჩემს ამხანაგსაც თავზე საყრელი დაგვრჩება... და თუ სამი თვე განუწყვეტლივ ვიმუშავეთ, მაშინ ნახე,რომ სიღარიბიდან ამოვალ! ჩემა ძმებს, დებს, ჩემს რძალს და განსაკუთრებით ჩემს მოხუც დედას გავახარებ. ყველას შევმოსავ, ჩემთვისაც ახალ ტანისამოსს ვიყიდი და ერთს ცოკეს, იქნება ჩემი ქორწილიც გავაჩაღო—სულ იმას მაყვედრიან, რომ ხეირიან საქმეზე ვერ დავმდგარვარ—ეხლა? მე ვიცი...

სიკო ხამი არ იყო სალეწ მანქანაზე!

რამდენიმე წელი ოსტატ მაკართან მუშაობდა.

სიკოს ოცნება იყო მემანქანე გამოსულიყო.

პირველ წელიწადს განგებ სახეს გაიმურავდა, ვითომ შემომხედეთ, მეც მაკარისთანა ოსტატი ვარო!

ფხიზელი ყმაწვილი იყო და ყველაფერს მალე მიხვდა. როცა ოსტატი მანქანას დაშლიდა, სიკო ცდილობდა მარტო მას აეწყო. ოსტატს აღარ აცლიდა და სამუშაოს ხელიდან სტაცებდა...

— შენ დაისვენე, მე გავაკეთებ და თუ სწორედ ვერ გავაკეთო, მითხარ...

დღეში ხან თექვსმეტ საათს მუშაობდა.

უხაროდა, მანქანაზე მუშაობას სწავლობდა.

დილით ყველაზე ადრე ადგებოდა.

ქვაბს შეუკეთებდა.

(შემდეგი იქნება).

# მილიციონერი ფარნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაჟდენ გვეტაძე

### გაუგებრობა

ფარნა ფრთხია აფათქალებული გულით გადმოვიდა ვაგონიდან.

პირველად იყო თბილისში და გადამთიელივით გრძნობდა თავს.

ფარნა გაუბედავათ შესდგა, რომ მოეფიქრა საით წასულიყო, ან ნაცნობისათვის მოეკრა თვალი: მისი სოფლიდან ცოტანი ხომ არ არიან თბილისში.

მაგრამ გაცეცებული ფარნა, რომელსაც ხელში პატარა ხურჯინი ეჭირა, აჩქარებულ მგზავრების ბორიალმა გაიტაცა.

ყველა ლამობდა ადრე გასულიყო გარეთ.

აზაბაქებული ხალხი საგუბარიდან ანეულებში გადაგდებულ ზვირთებივით გამოდიოდა სადგურის კარებიდან და ირგვლივ იფანტებოდა.

ფარნა განაპირდა და სული მოიბრუნა.

მოქარგული ხავერდის ხურჯინი ფეხებს შუა დაიდო, მერე დარაიის ჩაბალახი მოიხადა და უფრო კოხტად დაიხურა.

ფარნა მიამიტი არ იყო. მას არა ერთხელ ქონდა მოვლილი ზუგდიდი, სენაკი, ფოთშიაც ყოფილა, მაგრამ ამ უზარმაზარ და გაბრდღიალებულმა ქალაქმა გამბედაობა მოუდუნა.

ნაირ მგზავრებით ავსებული ეტლები, ავტომობილები და ტრამვაის გაჭედილი ვაგონები ქორისაგან დაფეთებულ ქათმებივით კრიახობდენ და სხვადასხვა მხრით გარბოდნენ.

რამდენიმე ეტლი კიდევ იდგა და დარჩენილები ჯანჯალ მეეტლებს ეყაყანებოდნენ, რომ იოლათ და იაფად მისულიყვნენ შინ.

ხმაური ფარნას უშლიდა, გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო, რომელ გზას გაყოლოდა.

ვერც რჩევა ჰკითხა ვინმეს სირცხვილით.

კარგახანს გაცქეროდა ფარნა წინ გაფენილ ქალაქს და ნანობდა, რომ მიატოვა დედა და ფაცხა. ალბათ მოხუცებული ქალი სიზმარში ხედავს პირმშოს, ან მასზე ფიქრით აბორგებული ვალალებს ეხლა.

ფარნამ ხურჯინი მკლავზე გადაიკიდა და დაიძრა.

ამ დროს ავტომობილმა ჩამოუქროლა და ბეწვზე გადარჩა ფათერაკს.

— შენ, ეი, ასე თავალერილი რო მიდიხარ, ამხელა ქუჩა ოლოლბე გგონია, თუ რავაა შენი საქმე. ფრთხილად იარე ბიძია, ფრთხილად.

წყრომა ნარევი ზრუნვით დაარიგა ფარნა ახმახმა მილიციონერმა, რომელმაც მას უგეშობა შეატყო.

დაღლილობისაგან მილიციონერი ნალებ ავარდნილ ცხენივით ალაჯებდა და როცა ფარნას ჩაუარა, ყურებამდე გაცქვიტინებული ცალი ულვაშის კუდი ნირისამებრ პირში ჩაიდვა და ცოხნა დაუწყო, რომ რული არ მორეოდა.

ფარნას არაფერი უთქვამს, ისე განაგრძო სიარული, მაგრამ მალე მობრუნდა და მეპაპიროსის ყუთთან შეჩერებულ მილიციონერს თავაზით ჰკითხა:

— ამხანაგო, მესამე კომისარიატი სითკენ არი?

მილიციონერის მაგიერ, იქვე მყოფი ვიღაც ავარა გამოეხმაურა:

— კომისარიატი? თუ ღამის გათევა გინდა მუქთად, ჯერ რამე უნდა დააშაო.

ფარნას ეწყინა უცნობის გამკილავი კილო.

— ეგ რჩევა თვითონვე გამოგადგება. ჩემთვის ნუ ირჯები.

უცნობმა ალმაცერად ახედ-დახედა ფარნას.

— ბევრს ნუ ატარტარებ მაგ ენას თორემ...

ამასობაში მილიციონერმა პაპიროსს მოუკიდა და მათკენ მოტრიალდა. უცნობი განგებ დაშოშმინდა.

მილიციონერმა ჯერ უცნობს მკაცრად შეხედა და მერე ფარნას მიმართა:

— რა გინდა ამხანაგო კომისარიატში?

— რა მინდა და საქმე მაქვს. მე გზის სწავლებას გთხოვ, სხვას არაფერს. გაცხარდა ფარნა.

— მაინც რა საქმე გაქვს?

დაინტერესდა მილიციონერი.

— ჩემი ბიძაშვილი მსახურობს იქ. მასთან მივალ.

— რა გვარია?

მოთმინებიდან გამოსულმა ფარნამ მკვახეთ უპასუხა:

— ძიკი ფიფია.

— კომისარი როა? ხოოო! ასე იტყოდი შე კაცო. აბა შენ ჩვენი ძიკის ნათესავი ხარ?

მილიციონერმა ხელი ჩამოართვა ფარნას.

ამდენხანს კისერ წაგრძელებული მეპაპიროსე არმენაკ, წინეთ ქალაქის თვითმართველობის წევრათ ნამყოფი და დიდი ქარვასლის პატრონი, უკმაყოფილო დარჩა, რომ ყველაფერი ასე მშვიდათ დასრულდა.

მათ ირგვლივ თავმოყრილი მეკურტნეები, პაცანები და ცნობისმოყვარე მგზავრები კი სიცილით დაიშალნენ.

უცნობი სტვენით წავიდა.

მილიციონერმა ეხლა თვინიერი მუსაიფი გაუბა ფარნას: დაწვრილებით გამოკითხა ვინაობა, თავის ამბავიც მოუყვა, მერე მოიგონა ძიკისთან სამსახური და ინანა მესამე კომისარიატიდან გადაყვანა.

ბოლოს ხელის გულზე დაუხატა თბილისის ყველა ქუჩები, განსაკუთრებით მესამე კომისარიატის მდებარეობა და ტრამვაის ვაგონში ხურჯინი თავის ხელით შეუტანა.

### № 30

ერთი თვის შემდეგ ფარნა, ქალაქის გარეუბანში, კოჯრის ქუჩაზე პირველად იდგა გუშაგად მილიციონერის ფორმაში კოპწიათ გამოწყობილი.

ღამე იყო. თქორი მოდიოდა და კოჯორის გრილი ნიავი ქროდა.

ფარნა მეგრულ კილოზე ღიღინით აყვა ქუჩას და როცა დაბრუნდა, მეეზოვე ბაირამის ალაგას, ვიღაც ქალი შეამჩნია.

— ვინაა, ე ქალი ნეტავი, ამ მამლის ყივილზე ქუჩაში რა უნდა მარტოს.

გაიოცა ფარნამ და მისკენ აეშურა.

— ვის ელოდები ამხანაგო.

ქალი არ შენძრეულა, ისე უპასუხა:

— მეეზოვე ხარ, ეხლა (ე უნდა იყო დილამდე.

— მეეზოვე?

კიდევ უფრო გაიკვირვა ფარნამ და მიუახლოვდა.

ქალს თეთრი ფეშტემალი ეფარა წინ, გულზე სასტვენი და ასანთის კოლოფის ოდენა თითბერის ნაჭერი ეკიდა, რომელზედაც ამოჭრილი იყო: № 30.

ფარნა დარწმუნდა ქალის ნათქვამში და ეხლა სახეზე შეაცქერდა.

ქალმა ურიდოთ გაუსწორა შავი დიდრონი თვალები.

ფარნა მოულოდნელად შეირხა. სიტყვა ვეღარ მოიძია. მას ეგონა, მის წინ მეეზოვე კი არა, ცქრიალა მეგრელი გოგო იდგა, შავგვრემანი და შავთვალა.

— დიდავ, რა ლამაზია.

უსიტყვოთ გამობრუნებულმა გაივლო გულში და გულმა ცემას უმატა.

— არა, პატრონი არ ყავს საწყალს, თვარა ამ დროს გარეთ ვინ გამოუშობდა ასეთ საესაო სილამაზის მქონეს.

თავისთვის ჩაილაპარაკა ფარნამ და იქვე, ქალის ახლო დაიწყო წრიალი.

ქალი კარგახანს იყო ელექტრონის ბოძზე მიყრდნობილი და როცა გავლა დააპირა, ფარნა უნებური მედიდურობით შეეკითხა:

— რას გეძახიან.

ქალმა ვერ გაიგო ფარნას წადილი.

შენი იმია.

— ცარა.

წყნარათ წარმოსთქვა ქალმა და ოდნავ გაიღიმა.

ფარნას ეამა ქალის ღიმილი.

— მაღალიც როა. სახელიც ჩვენებური რქმევია.

ფიქრობდა ფარნა და თვალს არ აშორებდა ხელში უბრალო, თავმოკაუჭებულ ჯოხით ნელა მიმავალ ქალს.

### ცარა

ცარა იმავე ქუჩაზე ცხოვრობდა სარდაფში.

ერთი წელია რაც მამა მოუკვდა.

ამდენივე ხანი იქნება, მეეზოვეთ რომაა ცარა და მამის მაგიერობას ეწევა.

დედა დაკუნტებული ყავს და პატარა ძმას თავის ტოლა კურტანი ჰკიდია.

ცარა ეშხიანია, ლამაზი.

კვირაობით იცვამს წითელ კაბას. წელზე ფათალოსავით არტყია ნაპირებ ფოჩებიანი და ფერადი ძაფით ქსოვილი განიერი სარტყელი.

კაბა ხშირ ნაოჭიანი და ფართე კალთებიანია, მაგრამ მაინც ვერ უმალავს მაღალ თეძოების სიმკვრივეს.

კორდებიანი, აზიდული მკერდი და კაბის საყელო მოოჭვილი აქვს სადაფის სხვადასხვა ზომის ფოლაქებით. ფოლაქები ცარას კბილებივით თეთრია და გამჭვირვალე.

ფეხებზე აცვია მსუბუქი, წითური მეშის წუღები და როცა ქუჩის პირას სხვა ქალებთან ერთად ჩაცუცქული თავისივე ფეხებზე ზის, მოუჩანს გრძელ ტოტებიანი და ჭრელ წინდებში ჩატანებული ჩითის შეიდიში.

კვირაობით, აგრეთვე, პატარა ყურების ბიბილოებში იკეთებს დედისეულ ვერცხლის საყურეებს და ალისფერ ფოთლებიან თავსაფარს ისე ოსტატურათ იხურავს, რომ საყურეები ყველამ დაინახოს.

საყურეები ტარიან სურების მსგავსია და ყოველთვის გულდაგულ გაფერილი.

ორივე ხელის თითებზე წამოცმული აქვს ვერცხლისავე და შავი ძვალის ბეჭდები.

ცარა ცოტას ლაპარაკობს და ხშირათ იღიმება

შავი, კუკუნახი თვალ ები, დაჩრდილული გრძელი და ხშირი წამწამებით, ღიმილის დროს უბრწყინავს და თხელი, ოდნავ წამწვეტილი ცხვირის ნესტო ბი შნოიანათ უფართოვდება.

ცალ ნესტოში ხანდახან გაყრილი აქვს წვრილი ს ნა, რომლითაც ზედ მიკრულია სადაფის მომცრო ფოლაქი მეტი ლაზათისათვის.

ქალები ქუჩაშიაც არ იშლიან ხელსაქმეს: ზოგი წინდას ქსოვს, ზოგი დახეულ სამოსს აკერებს, სხვები კიდევ ორშიმოს მსგავს ძუძუებს-

პირში აჩრიან ატირებულ ბავშებს და თან თავებს უხილავენ. ცარა უცქერის ბავშებს და იღიმება.

ქალების შორი ახლო თავს იყრიან ქურთი მამაკაცები და მათი ყ ყანი იქაურობას აყრუებს. უმრავლესობა უკურტნოთაა და საგარეოთ მორთული, მათ შორის ხშირათაა ჯოსონ, რომელსაც ორი ცოლი ყავს და სხვებზე კარგათაც ცხოვრობს.

ჯოსონ შუახნის კაცია. ჯმუხი და ჯარგავალა. უნდა ცარას თავი მოაწონოს და რაც გაეწყობა კოხტაობს.

ცოტა ხნის წინათ ამერიკულ ბაზარზე იყიდა ახალუხი, ხანჯალი, ბუხრის ქუდი და სავაქსავი ჩექმები, მაგრამ ცარას ყურადღება მაინც ვერ მიიქცია.

ჯოსონმა სხვა გზით სცადა ბედი და ბაირამის პირით გაუმჟღავნა ცარას დედას, თავის გუმანი, თან ნაირი საჩუქრებიც გაუგზავნა ორთავეს.

დედაშვილმა უარი შეუთვალეს და ჯოსონ ეხლა ფიქრობდა, რით მოეგო მათი გული.

ჯოსონის მესამე ცოლათ თავის წარმოდგენა კი, ცარას ჟრჟოლას გვრიდა და ყოველთვის ზიზღით არიდებდა თვალს მის უხიაგ სახეს.

განსაკუთრებით ცარა აღარ ეპუებოდა ჯოსონს მას შემდეგ, რაც ფარნამ ამ ქუჩაზე გუშაგობა დაიწყო.

## ნ ი ა ღ ვ ა რ ი

ცარას გულისათვის ფარნა ხშირათ სხვის მაგიერათაც იდგა საგუშაგოზე და ყოველთვის ცდილობდა მასთან ახლო ყოფილიყო.

პირველ ხანათ ცარა არ აქცევდა ფარნას იმდენ ყურადღებას, მაგრამ შემდეგ და შემდეგ მასაც ჩაესახა სურვილი ფარნა მალმალე ენახა.

ერთღამეს ფარნა და ცარა საგუშაგოზე ერთიმეორის შორი-შორ იდგნენ.

ცა უვარსკვლავო იყო და ქარი ქროდა. „პალერმოდან“ ქარს მოქონდა არღნის ხმა და არეული სიმღერის ნაწყვეტები. ქარი ფხიანდებოდა. მალე გრგვინვა ატყდა და ელვამ ქუში ცა ლრაკნილ ხაზებით გადასერა. როცა გრგვინვა ქუხილად იქცა, ცა ისე არახრახდა, როგორც ჯოსონის დროგი, რომელსაც ცარას დანახვის დროს, ჯოსონის მათრახით გავა ამწვარი ცხენები, შურდულივით მიაქროლებდნენ.

უეცრათ ელვამ ცა შუაზე გადახსნა, ქუხილი გამძაფრდა და ჰაერში საშინელი ჭახჭახი გაისმა.

ფარნა დაუფიქრებლად მივარდა ცარას და ბავშივით ატატებული, კოოპერატივის გვერდით, სადარბაზო კარების დერეფანში შეარბენინა. ცა კიდევ ერთხელ შეირყა და სადღაც მეხი ჩამოვარდა, მეხს ერთბაშათ კოკისპირული წვიმა მოყვა და ქუჩა მაზლობელ მაღლობებიდან თქეშათ ჩამონადენმა ნიაღვრებმა დაფარა.

ფარნას ორივე ხელით ცარა გულში ყავდა ჩახუტული. ქალი მოსავებული და გალურსული იყო.

დიდხანს იყვნენ ასე.

და როცა ქალმა თავი ასწია, ფარნა მის ტუჩებს გაშმაგებული დაეწაფა.

ცარა არ გაძალიანებია ფარნას და ისეთ სიტკბოს გრძნობდა, თითქო ძარღვებში თაფლი ჩასდგომოდა.

წვიმამ გადიკარა.

გონზე მოსული ფარნა თავისთავს ტუქსავდა, რომ საგუშაგოზე ყოფნისას ასე მოიქცა. თანაც უჩვეულო სიხარულს გრძნობდა.

## ფერიცვალება

ცარას მალე დედაც მოუკვდა და დაობლებულ ქალისათვის ეხლა მარტო ფარნა იყო სანუკავარი.

ფარნას რჩევით ცარა კომკავშირში ჩაეწერა.

თავიდან ცარას უძნელდებოდა ახალ გარემოში ყოფნა, მაგრამ მალე შეეგუა ყველაფერს.

ამხანაგების უბრალო, თავაზიანი მოპყრობა და ფარნას უზადო სიყვარული ცარას ამხნევებდა და ცდილობდა სხვა კომკავშირელ ქალებს დამსგავსებოდა.

ცარა ხედავდა თუ როგორ გულუბრყვილო სიცილს იწვევდა მისი სამოსი ამხანაგებში და ცოტა უხერხულობას გრძნობდა.

ამიტომ მოწინავე კომკავშირელმა ქალებმა ამხანაგებში შეაგროვეს ფული და ერთ დღეს, ფარნას ოთახში, ცარას სამკაულები მოხსნეს, თავიანთ გემოზე შემოსეს და მოკაზმეს.

ცარას განსაკუთრებით ეხამუშებოდა მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელებით სიარული და სულ ეშინოდა არ წაქცეულიყო.

ქალების სიცილი და ჟრიამული ფარნას ოთახში დიდხანს არ შეწყვეტილა. ცარას ციბრუტივით ატრიალებდნენ და თან დასავით კოცნიდენ.

ფარნა და რამდენიმე კომკავშირელი ბიჭი აივანზე ელოდებოდნენ ცარას ფერიცვალებას. მათ შორის უფრო სულსწრაფები ფანჯარაში იჭვრიტებოდნენ და ქალების კისკისზე თვითონაც ხმიანათ იცინოდნენ.

კარგახანის ცდის შემდეგ კარები გაიღო და ოთახში ყველაზე ბოლოს ფარნა შეეიდა.

ქალები გაიყუჩენ იმის გასაგებათ, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ცარა მათზე.

ბიჭები ჯერ პირდაღებულნი ერთიმეორეს შეაცქეროდნენ, მერე ასტეხეს ყიჟინა და ცარას გარს შემოერკალენ.

დარცხვენილ ცარას ქალები მიეშველნენ და ბიჭები ძალით გარეკეს.

ცარას სინატიფით და კდემამოსილებით დატყვევებული ფარნა კვლავ კარებში იდგა და განძრევა ვერ მოეხერხებია.

ახალ სამოსში ცარას მეტი ლაზათი და უმწიკვლო იერი მისცემოდა.

ამხანაგებმა ფარნას ხელი წაკრეს და ცარას მიგვარეს.

ფარნამ და ცარამ ერთმანეთს ხელი მაგრათ ჩამოართვეს და ბავშვებივით გაიღიმეს, ხმის ამოღება კი ორთავეს გაუჭირდა.

იმ საღამოს ყველანი ერთად კინოში წავიდნენ.

## ა დ ა თ ი

ცარას ველარ ცნობდნენ იმ ქუჩის ქურთი ქალები. მათებურათ აღარ ეცვა და აღარც მათთან სამუსაიფოთ ეცალა.

ხალვათათ ყოფნისას ცარას ხელში წიგნი ეჭირა, ან სადღაც მიიჩქაროდა – ფარნასთან, უჯრედში.

ცარას და ფარნას სიყვარული მთელმა უბანმა გაიგო.

ჯოსონ ცოფს ყრიდა და არც ბაირამი იყო კმაყოფილი, რომ მისი დის შვილი ადათის საწინააღმდეგოთ იქცეოდა.

ჯოსონ აქეზებდა თავისიანებს და ყოველ ღონეს ხმარობდა წადილი ასრულებოდა.

მისი შიშით ცარამ მეეზოვეობას თავი დაანება და ამხანაგებთან ათევდა ღამეს. ხანდახან დღე თუ მოვიდოდა ძველ ბინაზე ძმის სანახავათ.

შემოდგომა დადგა, ნათელ ღამეებიანი.

საგუშაგოზე მდგარი ფარნა ფიქრობდა ცარაზე, დედაზე, ფაცხაზე და მზათ იყო მთელი ქვეყნის კონტრრევოლიუციონერებს მარტო გასწორებოდა.

ფარნას სხეული სიხარულით და ჯანით ქონდა სავსე.

ფარნა ღიღინით აყვა ქუჩას, ისე როგორც ამ ნახევარი წლის წინათ, როცა პირველათ იხილა ცარა.

ქუჩაში სიწყნარე იყო და არავინ ჩანდა.

ფარნა ქუჩის ბოლოში შესდგა, იქაურობას თვალი მოავლო და პაპიროსი ამოიღო.

ასანთი გაკრა თუ არა, რაღაც ცივი და მწარე ტკივილი იგრძნო ბეჭებში და პირქვე დაეცა.

ალბათ დუშმანები ასო-ასო აქნიდნენ ფარნას, რომ კოჯრიდან მომავალ ავტომობილს ხელი არ შეეშალა.

## საავადმყოფოში

ცარამ მაშინვე, კომკავშირელთა საღამოზე, გაიგო ფარნას დაჭრა და რამდენიმე ამხანაგთან ერთად საავადმყოფოსაკენ გულგახეთქილი გაეშურა.

ცარას მდუღარება სდიოდა თვალთაგან.

ამხანაგებიც შეწუხებულნი და შეშფოთებულნი იყვნენ.

ჭრილობა სახიფათო იყო და მორიგე ექიმმა პროფესორს გამოუძახა.

პროფესორი მოვიდა.

მას არც კი შეუმჩნევია დერეფანში უმწეოთ გაჩერებულნი ფარნას მეგობრები, ისე სწრაფათ აიარა კიბის საფეხურები და მეორე სართულიდან მოისმა რამდენიმე მოკვეთილი სიტყვა:

პროფესორი განკარგულებას იძლეოდა.

სადღაც კარი გაიღო.

ბორბლებიან საწოლის გორიალმა ოდნავ შეარხია საავადმყოფოში დამკვიდრებული სიწყნარე და კვლავ სიჩუმე დამყარდა.

ფარნას ჭირისუფლებიც გაიყუჩენ.

ცარა გრძნობდა ფარნას ტკივილებს და გული ეკუმშებოდა.

ტკივილებისაგან კვნესოდა.

ოპერაცია გახანგრძლივდა. ბოლოს ისევ სადღაც კარები გაიღო. ფეხის ხმა და ლაპარაკი მოისმა.

ყველამ თვალები კიბეს მიაპყრო.

გამოჩნდა პროფესორი, რომელიც ეხლა მშვიდათ, ნელა ჩამოდიოდა კიბეზე და მორიგე ექიმს რაღაცაზე ებაასებოდა.

გაცეცებულ ახალგაზრდების დანახვაზე პროფესორს გაეღიმა. ცარას მოეჩვენა, რომ ამ სახე განათებულმა კაცმა მარტო მას გაუღიმა და ფარნას გადარჩენის იმედი ჩაესახა.

მოახლოებულ პროფესორს ფარნას გულითადი ამხანაგი, მეტ სახელად ციცქა, გაუბედავათ შეეკითხა:

— ამხანაგო... გადარჩება? როგორ არის? ხომ არ მოკვდება!

— არა. მორჩება. მაგარი ბიჭია. არა უშავს.

ნუგეშცემული და მეტი სიხარულით ხმამაღლა აქვითინებული ცარა პროფესორს ხელებზე საკოცნელათ მივარდა, მაგრამ პროფესორმა შეაკავა და ლბილათ დატუქსა.

გული ყელში ებჯინებოდა და ცარამ ვეღარც მადლობის თქმა შესძლო.

პროფესორმა ცარას ალერსით თავზე ხელი გადაუსვა, კიდევ ერთხელ გაუღიმა და წავიდა.

## საყურეები

ორი თვის შემდეგ ცარა და ფარნა ვაგონის ფანჯრიდან თავიანთ ამხანაგებს ცრემლმორეულები ემშვიდობებოდნენ.

მალე მატარებელი თვალს მიეფარა და ბაქანზე დარჩენილნი ტოლები ეკან გულდაწყვეტილნი დაბრუნდნენ.

ცარას კი მალულათ თან მიქონდა დედის ნაქონი საყურეები და სიყვარულით სავსე გული.

...ჯოსონ და მისი ამქრები ციხეში ისხდნენ.

# გმირთ-ნაკვეთი

### პირველყოფილ ადამიანთა სამეფოში.

### ე. ხუციშვილი

გადავლახეთ მდინარე ალგეთი და წვრილი ბილიკით შევუდექით გოხნარას მთის აღმართს.

ჯერედ მზე არ ამოსულიყო. სასიამოვნოდ გრილოდა.

შევედით ხშირ ტყეში. ნაძვი, მუხა, თეთრ-რცხილა, ფიჭვი—ერთმანეთშია არეული. არ ისმის არავითარი ხმაური. ამ სიჩუმეს დროგამოშვებით არღვევს ციყვის მოუსვენარი ხტუნაობა.

მისდევ ბილიკს, დაფარულს ნამიანი ბალახით და არ გინდა, რომ გათავდეს ეს მომაჯადოებელი ტყე.



ჩასავალი მიწის ქვეშა ბინაში



გმირთ-ნაკვეთ ქალაქის ერთ-ერთი ნაწილი

მაგრამ, წინ უკვე მოსჩანს ოქროსფრად შეღებილი ცა, ნიშანი იმის, რომ ტყე თავდება.

მივდივართ ბალახოვან მთის ფერდოებზე. გოხნარას მწვერვალამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილია.

გინდა შეისვენო, მაგრამ, ის დიდებული სურათი, რომელიც იშლება შენს თვალწინ, არ გაძლევს ამის ნებას. არ იცი, რომელ მხარეს მიაპყრო თვალები, ყველგან საუცხოვო სანახაობაა: აგერ, ერთ მხარეს მოსჩანს ალმაცრივ დაკიდებული კლდე-კარი, თავზე მოხვეული ნისლით, იმას იქით, შორს, ძალიან შორს მზის სხივებზე ელვარებს თეთრად ბრუტ-საბძელა და ყაზბეგი. გაიხედავ მეორე მხარეს და შენს წინ



მიწის ქვეშა ბინის კედელი



პირველყოფილ ადამიანის ერთ-ერთი ბინა

გადაიჭიმება ულრანი ტყე, შეფენილი უსახელო მთის ფერდოებზე, ამ ტყის გვერდით კი გაჭიმულია მწვანე საძოვრები, რომლებზედაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მორეკილი საქონელი უზრუნველად შეექცევა ნოყიერ ბალახს.

აღმოსავლეთით ყურადღებას იპყრობს მთებს შუა ჩაწოლილი დიდი ხევის მაგვარი ადგილი, მთლიანად ჩაფლულ ფიჭვნარში—ეს არის მანგლისი.

აქედან საუკეთესოდ მოსჩანს ახალი მანგლისი, თავისი აგარაკებით, ფიჭვის პარკით და მეფის დროის უშნო და ულამაზო ყაზარმებით.

როგორც ხელის გულზე, ისე მოსჩანს ძველი მანგლისიც, რომლის განაპირას აღმართულია უძველესი მანგლისის ეკლესია.

სხვათა შორის, ფრიად საინტერესოა ამ ეკლესიის წარსული. დაუგდოთ ყური, რას მოგვითხრობს თავის გეოგრაფიაში ვახუშტი: „...ამას ქვე-თ არს მანგლისი, ეკლესია გუნბათიანი, აღაშენა დიდმან კონსტანტინემ, მირიან მეფის ჟამს. არ ოდეს შემუსვრილი (ე. ი. დანგრეული) არს. სამხრით გუნბათსა შინა არს მაჭმად ლომსა ზედა მჯდომარე დახატული, იტყვიან მის გამო მაჰმადიანთ არა შეუმუსრავთ“.

ასეთს ხერხს ჩვენი სამღვდელოება ხშირად ხმარობდა და ეხლაც ხმარობს თავისი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, მაგრამ, ველარა შველით მათ ძველად ნაცადი ხერხები.

***

მზე მიიწევს ზევით. ჩამოცხა. გავედით ტრიალ მინდორზე. აქლო-მახლო არ მოსჩანს არც ერთი ხე.

მივდივართ დასავლეთით, წალკის მიმართულებით.

უეცრივ თავს წავადექით ხშირი მაღალი ხეებით შემოსილ ბორცვს, რომელიც მთლიანად დაფარულია უშველებელი ლოდებით და კლდის ნამტვრევებით.

გაკვირვებულნი გავჩერდით ამ ლოდების ზღვის წინ.

ეს იყო გმირთ-ნაკვეთი, პირველყოფილ ადამიანის სამფლობელო, ანუ როგორც უწოდებს მეცნიერება ამისთანა ძველ ქალაქებს „ციკლოპიური“ ქალაქი.

ეს იყო ის ადგილი, რომელზედაც ამირანის ლექსში ნათქვამია:

„სანადიროთ წამოვიდნენ:
ამირან და ძმანი მისნი;
გადიარეს ცხრანი მთანი,
მეათენი ალგეთისნი.
მინდორს ქვალი გაუკვლიეს

დანაჭლიკი ეშმაკისი.
მთას ირემი წამოუხტათ
ოქრო იყო რქანი მისნი.
უცხო მთაზე კოშკი ნახეს
ანაგები ბროლის ქვისი;
გაუარეს გარეგურგვლად
ვერ იპოვეს კარი მისი.
სადაც რომ მზემ პირი მოჰკრა,
ამირანმა მუხლი მგლისი,
კოშკმა პირი იქ გაალო,
იქ შეება კარი მისი“.

***

ოდესღაც მიუვალი ყოფილა ეს ქალაქი, შემოზღუდული მაგარი და მაღალი კლდის კედლით. ეხლაც ძნელია გადასვლა ამ კედელზე. მხოლოდ, რაღაც სტიქიურ უბედურებას მთლად გაუნადგურებია როგორც კედელ-გალავანი, ისე თვით ქალაქიც

ვუახლოვდებით გალავანს და დიდის წვალებით ავდივართ მასზე' აქედან კარგათ მოსჩანს მთელი ქალაქი და შეიძლება მისი ყოველმხრივ დაზვერვა-გაცნობა.

რას წარმოადგენს ის ადგილი, სადაც პირველყოფილ ადამიანს გაუშენებია ეს უცნაური ციხე-ქალაქი და როგორი სახისაა თვით ეს ქალაქი?

ქალაქი მდებარეობს გოხნარის მთის დასავლეთის ფერდობზე, მანგლისიდან 18 ვერსის მანძილზე წალკის მიმართულებით. ქალაქი გაშენებულია ვულკანიურ წარმოშობის ბორცვზე. პირველყოფილ ადამიანს აქ უნახავს მზა-მზარეული მასალა—ქვა და კლდე და აქვე გაუშენებია თავისი სამფლობელო.

როდესაც ახვალ გალავანის ნანგრევებზე და გადახედავ ქალაქს, პირველად ვერ შეამჩნევ, თუ აქ ოდესმე შეეძლო ცხოვრება სულიერ არსებას. ეს ადგილი წარმოადგენს, როგორც იყო ზევით ნათქვამი, კლდეების ზღვას.

აქ ადამიანი შეხვდება უზარ-მაზარ კლდეებს, წონით რამოდენიმე ათას ფუთს. მაგრამ, როდესაც შედიხართ, აკვირდებით არე-მარეს, დაინახავთ, რომ თქვენ საქმე გაქვთ ისეთ ადგილთან, სადაც უცხოვრია სულიერ არსებას.

აქ არის ბუნებრივი გამოქვაბულები, რომლებშიაც ცხოვრობდა პირველყოფილი ადამიანი. არის ხელოვნურად ნაშენი ბინები. მხოლოდ ეს ბინები დიდათ განსხვავდება ეხლანდელ ბინებისაგან. მაშინ ადამიანს არ ჰქონია არავითარი წარმოდგენა კირის და ტალახის ხმარებაზე კედლების ამოყვანის დროს.

აქ ქვები დაწყობილია ერთმანეთზე უკიროთ და ზევიდან ამისთანა ბინა გადახურულია, უშველებელ ლოდებით, რომლების აწევისათვის საჭიროა ათეული ცხენის ძალა. ეტყობა, რომ ჩვენი წინაპრები თავისი მაგარი კუნთებით ადვილათ ზიდავდნენ ასეთ ტვირთს.

ქალაქში შეხვდებით კოშკებს, სენაკებს, გალავნებს ალაყაფის კარებებით, დარბაზებს. მხოლოდ, ყოველი ეს შენობები ქაოტიურ მდგომარეობაშია, ეტყობა, რომ ძლიერ მიწისძვრას მთლიანად გაუნადგურებია იგი.

დავათვალიერეთ რამდენიმე ბინა.

კლდეებს შორის, რომლებიც თავისი ბუმბერაზობით ჭრუანტელს გვრიან ტანში, მოსჩანს შესავალი, გადახურული ვეებერთელა კლდით. დიდის გაჭირვებით შედიხარ შიგ. ბნელა. ავუქებ ამ უცნაურ სადგომს და ათვალიერებ იქაურობას: კედლები აგებულია მოზრდილი ქვებისაგან უკიროთ და უტალახოთ. სადგომი დაბალია, ზოგი გრძელია, ზოგი მოკლე. ამ სადგომიდან მიდის ხვრელის მსგავსი კარები ქვედა სართულში. ჩავდივარ ამ მეორე სართულში, აქ ისეთივე სურათია, როგორც პირველ სართულში. ამ სართულიდან კიდევ არის ჩასავალი მესამე სართულში.

ერთ-ერთ ბინაში მე დავთვალე ხუთი სართული. კიდევ იყო ჩასავალი ქვედა სართულში, მაგრამ ველარ ჩავედი, რადგან ძალიან ბნელოდა და ციოდა. სწორედ გითხრათ, მეშინოდა კიდეც, ვაი თუ ვერ ვიპოვო ზევით გასავალი მეთქი.

ამისთანა ბინები მრავლად არის გმირთ-ნაკვეთ ქალაქში.

არც ერთ ბინაში, არც ერთ სართულში ვერ წავაწყდი რაიმე ნივთ, თუმც დოცენტი ლ. მელიქსედბეგი და ალ. ფლორენევი ამბობენ, რომ აქ უნახავთ ქალდების ეპოქის ქანდაკებანი.

ყველა ბინებში მრავლად არის ადამიანის ძვლები და თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. ერთ-ერთ ბინაში ვნახე ადამიანის თავის ქალა, ქვედა ყბა არა ჰქონდა და ჭრაქის მაგვარი სანათური, გაკეთებული გამოუწვავი თიხიდან. ვიპოვე აგრეთვე თიხის ჯამის ნამტვრევი, მორთული სხვადასხვა ნახატებით.

საიდან გაჩნდა აქ თიხის ასეთი ჭურჭელი, გაკეთებული ასე ლამაზად, ამას სჭირია გამოკვლევა და შესწავლა. საჭიროა აგრეთვე ადამიანის ძვლების შესწავლაც, რაც ნათელს მოჰფენს ქალაქის წარსულს.

ბევრს ბინაში შეუძლებელია შესვლა, რადგან შესავალი დახშულია მთლიანად. ბევრი ბინა სულ განადგურებულია და შეუძლებელია მათი დათვალიერება და შესწავლა.

უცნაურ რამეს წარმოადგენენ ეზოები, რომლებიც მდებარეობენ ქალაქის ზედაპირზე. ეზოებს აქვს ალაყაფის კარები. შესვლის დროს უნდა მოიხარო წელში, რადგან კარები დაბალია. თვით ეზოები პატარა ზომისაა: სიგრძით 4, სიგანით 3 არშინი. ეზოების კედლები დაბალია. ზოგ ეზოდან შეიძლება ჩასვლა მიწის ქვეშ მდებარე სადგომებში, ზოგ ეზოს კი (უფრო მეტი წილი) არა აქვს არავითარი გასავალი.

რა დანიშნულებას ასრულებდნენ პირველ ყოფილ ადამიანის დროს ეს ეზოები, ძნელი წარმოსადგენია.

***

ჩვენი არქეოლოგების მიერ გმირთ-ნაკვეთი ქალაქი არ არის ჯერ-ჯერობით საფუძვლიანად შესწავლილი.

არც ერთ რუქაზე არ არის აღნიშნული ეს პუნქტი.

არაფერს ამბობს მასზე ძველი გეოგრაფი ვახუშტიც.

ამ რამდენიმე წლის წინად ეს ქალაქი დაათვალიერა ციკლოპიური შენობების საუკეთესო მცოდნემ დოცენტმა ალ. მელიქსეთ-ბეგმა. იგი ამბობს, რომ, როგორც ციკლოპიური სისტემის შენობები, ისე კერძოდ მანგლისის ახლო მდებარე ციხე-ქალაქი, გაცილებით წინ უსწრებენ ქალდების ეპოქას.



გმირთ-ნაკვეთის საერთო მდებარეობა



ზღვა-გორახები

მანგლისის ახლო მდებარე პირველყოფილი ადამიანის ქალაქი წარმოადგენს იშვიათ არქეოლოგიურ ნაშთს და საჭიროა მისი საფუძვლიანად შესწავლა.

***

საქართველოში დღემდე დაცულია ტერმინი გმირთ-ნაკვეთი, რომლითაც აღინიშნება სწორედ ციკლოპიური სისტემის შენობები.

ქართველებს—ამბობს ლ. მელიქსეთ-ბეგი—თავიდანვე კარგად სცოდნიათ ასეთი შენობები და მათთვის შეუქმნიათ სპეციალური სახელი.

მართლაც, ამისთანა ქალაქის აგება, შეეძლოთ მხოლოდ გმირებს.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა
## ლენინაკანი შენდება



სომხეთში სწარმოებს დიდი ამშენებლობითი მუშაობა. როგორც ვიცით, ლენინაკანი მიწისძვრამ გაანადგურა, მაგრამ პროლეტარიატის ნების ყოფამ კვლავ აღადგინა. რამდენიმე ათიათასი მუშა მუშაობს სახლების და დაწესებულებების ასაშენებლად, შენდება მთელი უბნები, ქუჩები და მოედნები. სურათზე ნაჩვენებია ის შენობები, რომლებიც ოქტომბრის 12 წლის თავზე დამთავრებულ იქნებიან.



ლენინაკანში 14 საჟენის სიგანე ბულვარი თავის შენობებით, რომელიც ოქტომბრის 12 წლის თავზე უნდა იქნეს დასრულებული.





ქუთაისის ებრაელების გადამწვარი უბანი, რომელიც ხელახლად აშენდა.

ქუთაისში თანდათან შენდება 1928 წელში გადამწვარი ებრაელების უბანი. სურათზე ნაჩვენებია ახლად აშენებული სახლები, სადაც დაბინავებულ იქნენ შარშან ცეცხლისაგან დაზარალებული ებრაელები. ამნაირი სახლები შენდება მთელს უბანში ქუთაისის აღმასკომის საამშენებლო განყოფილების მიერ და იმ შეწირულებით, რაიც მიღებულ იქნა საბჭოთა დაწესებულებებიდან და მოქალაქეთაგან.

## ქართული ხალხური მომღერალი გუნდები მოსკოვში



ბათომის სატრანსპორტო კავშირის გურული ხალხური გუნდი არტემ გიგოს ძე ერქომაიშვილის ლოტბარობით, რომელმაც სრ. საქარ. მომღერალთა ოლიმპიადაზე (1929 წ. ივნისის 28-30) პირველი ჯილდო მიიღო ეთნოგრაფიულ ხალხურ სიმღერების საუკეთესოდ შესრულებისთვის. გუნდშია ლოტბარის მამა, ძმები და შვილები (ბავშვები) ამჟამად გაემგზავრნენ მოსკოვში საგასტროლოდ.



ლოტბარი პაჭკორია



ლოტბარი ერქომაიშვილი